

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



თამუნა გრძელიშვილი

სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების

პრინციპის დადებითი და უარყოფითი მხარეები

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლევან დუნდუა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს. ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამუნა გრძელიშვილი

2020

ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი კეთილსინდისიერების პრინციპი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები სახელშეკრულებო სამართალში.

კეთილსინდისიერების პრინციპი ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს სახელშეკრულებო სამართალში. ჩემი მიზანია, განვიხილო რა როლს თამაშობს ის სახელშეკრულებო სამართალში ხელშეკრულების დადებისას, ასევე რა ფუნქციები აკისრია კეთილსინდისიერები პრინციპს, თუ როგორ შეიძლება კეთილსინდისიერებით შეიზღუდოს ნების ავტონომია და ხელშეკრულები თავიუფლებს ფარგლები. როგორ შეიძლება დარეგულირდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და საერთაშორისო კონვენციებით.

სამაგისტრო ნაშრომში ასევე განხილულია კეთილსინდისიერების პრინციპის ისტორიული ასპექტები, მისი განვითარების მოკლე ისტორია, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. ასევე ნაშრომში იხილავთ თუ რა როლს თამაშობს საჯარო რეესტრი კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებაში.

Annotation

This previous master's thesis refers to one of the most important principles of law, the principle of good faith, its negative sides and positive sides in contractual law.

The principle of good faith is considered one of the most fundamental principles in contractual law. The goal of my thesis is to consider what kind of importance it has during the concluding of contract in contractual law, therefore what negative sides will be caused due to the violation of the contract, how it can be regulate by the civil code of Georgia and international conventions.

The historical aspects of the principle of good faith are considered in master's thesis, the development of brief history as in Georgia, as well in foreign countries. The public registry is regarded in this thesis concerning the principle of good faith.

სარჩევი

შესავალი.....	7
თავი 1. ხელშეკრულების თავისუფლების მიმოხილვა.....	9
თავი 2. კეთილსინდისიერების განვითარების ისტორია	11
2.1 კეთილსინდისიერების პრინციპი და საქართველო.....	13
2.2 საზღვარგარეთის ქვეყნები	15
თავი 3. კანონმდებლობით რეგულირებული კეთილსინდისიერების პრინციპი ...	25
3.1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.....	25
3.2 საერთაშორისო ნორმებსა და საერთაშორისო აქტებში.....	28
თავი 4. კეთილსინდისიერების პრინციპის დადებითი მხარე და უარყოფითი მხარე	30
4.1 კეთილსინდისიერების ფუნქციები (ხარვეზის შემავსებელი, დამატების და გამაუქმებელი, შემზღუდავი მაკორექტირებელი.).....	30
4.2 კერძო ავტონომიის როლი და ხელშეკრულების თავისუფლება კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებაში.	41
თავი 5. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა	49
დასკვნა	57
გამოყენებული ლიტერატურა	60

გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა :

- ა.შ - ასე შემდეგ
- გვ.- გვერდი
- ე.წ - ეგრეთ წოდებული
- ე.ი - ესე იგი
- იხ. - იხილეთ
- მაგ. -მაგალითად
- სხვ. - სხვა
- სსკ. - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- რფსკ - რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი

შესავალი

კერძო სამართალში მოქმედი პრინციპებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს , კეთილსინდისიერების პრინციპი. ეს პრინციპი აწესრიგებს მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობას , კეთილსინდისიერების პრინციპი ამოსავალ წერტილს წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნების სამართალში. ამ პრინციპის გარეშე წარმოუდგენელია კერძო სამართლის დარგი.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია თუ რამდენად ხდება ხელშეკრულების დადების დროს კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება, პრაქტიკული მნიშვნელობის დადგენა. ასევე მნიშვნელოვანია იურიდიული ბუნების განსაზღვრა , სახელშეკრულებო სამართალში, რა სამართლებრივი შედეგებს გამოიწვევს მისი არსებობა.

კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს, ის სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობები, სადაც მოქმედებს კეთილსინდისიერების პრინციპი.

კვლევის **საგანია** კეთილსინდისიერების როლი სახელშეკრულებო სამართალში, მისი არ არსებობით გამოწვეული საკითხების წარმოჩენა, ასევე მისი გამოყენების პრაქტიკა საქართველოს და საზღვარგარეთის მაგალითზე.

სამაგისტრო ნაშრომში კვლევის **მეთოდია** შედარებით სამართლებრივი ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავდა , როგორც სხვადასხვა მეცნიერთა თუ პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებების განხილვას, ასევე ისტორიული სისტემური კვლევის მეთოდები.

ჩემს მიერ დასახული მიზნის მისაღწევად ნაშრომი დაყავი თავებად და ქვეთავებად, უპირველეს ყოვლისა განვიხილე ხელშეკრულების თავისუფლების მნიშვნელობა, ხოლო ამის შემდეგ ის ძირითადი საკითხები რომელიც შეეხება

კეთილსინდისიერების პრინციპის განვითარებასა და გამოყენებას დღევანდელ ეპოქაში.

პირველ თავში განხილულია ზოგადად ხელშეკრულები თავისუფლება , რომელიც არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, ყოველდღიურობიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ცხოვრები თანმდევი ნაწილია. ჩემს ნაშრომი მისი მოხსენიება მიზანეწონილად მიმაჩნია.

მეორე თავი უშუალოდ კეთილსინდისიერების განვითარები ისტორიას ეხება მის არსებით მნიშვნელობას სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს. მისი განვითარების ისტორია და წარმოშობა საზღვარგარეთის ქვეყნების და საქართველოს მაგალითზე. რომ კეთილსინდისიერების პრინციპი გამოყენება ჯერ კიდევ ძველ რომში ხდებოდა , მასზე ეფუძნებოდა ძირითადად სახელეკრულებო ურთიერთობები და ვალდებულებები.

მესამე თავში განხილულია კეთილსინდისიერების პრინციპის დარეგულირდება საკანონმდებლო თუ საერთაშორისო პრინციპებით და აქტებით საქართველოში და ევროპის ქვეყნებში.

მეოთხე თავი ეხება კეთილსინდისიერების პრინციპის დადებით და უარყოფით მხარეს, მისი ფუნქციურობა, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპს გამოკვეთს. განხილულია თითოეული ფუნქციის გამოყენება პრაქტიკაში. ასევე ამ თავშივეა განხილული მხარეთა ნების ავტონომიისა და ხელეკრულების თავისუფლების შეზღუდვა, თუ როგორ და რა შეიძლება შეზღუდოს კეთილსინდისიერების პრინციპმა.

მეხუთე თავში განხილულია სასამართლო გადაწყვეტილება.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართულ ენაზე, იგი შედგება 61 ფურცლის, ანოტაციის, შესავლის, 5 თავის, 6 ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისგან.

თავი 1. ხელშეკრულების თავისუფლების მიმოხილვა

ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს. ეს პრინციპი სამართლის სუბიექტებს შესაძლებლობას აძლევს შეუზღუდავად დადონ ხელშეკრულება, ასევე თავად განსაზღვრონ როგორც ფორმა, ისე მისი შინაარსი.

სახელშეკრულებო თავისუფლება ქართული სამოქალაქო კანონმდებლობით განმტკიცებული კერძო სამართლებრივი პრინციპია ¹. „ ხელშეკრულების დადების თავისუფლება , როგორც კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი გამოხატულება , არის შესაძლებლობა დადოს ან დადოს პირმა ესაა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაქტი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი” ² აქედან გამომდინარე , საქართველოს კანონმდებლობით მხარეებს შეზღუდული არ აქვთ თავად განსაზღვრონ ხელშეკრულების პირობები, მათ სრულ თავისუფლებას ანიჭებს.

დღევანდელ დროში თითქმის არსად მოიძებნება დემოკრატიული წყობილების ისეთი ქვეყანა, რომელსაც ხელშეკრულების თავისუფლება საკანონმდებლო დონეზე ასახული არ ჰქონდეს.³ ხელშეკრულების თავისუფლება ეყრდნობა ისეთ პრინციპს , როგორცაა თანასწორუფლებიანობა და კერძო ავტონომია. რაც , მოიცავს შემდეგს, რომ სამართლებრივი ურთიერთობისას მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ ნებისმიერ რამეზე რაც კანონით აკრძალული არაა და არ არღვევს საჯარო ინტერესს.

ხელშეკრულების ინსტიტუტის განვითარებასთან ერთად ხელშეკრულების თავისუფლება თანდათან ვითარდებოდა. მართალია, სხვადასხვა დროში იგი

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს) , მუხლი 319, პირველი ნაწილი

² ლ. ჭანტურია , შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი “, თბ, 1997 გვ, 60

³ ჯორბენაძე ს, „ ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში “ თბილისი 2017 გვ.

დღევანდელი სახით (საკანონმდებლო დონეზე - ხელშეკრულების თავისუფლება) მოწესრიგებული არ იყო, თუმცა აღსანიშნავია, რომ გარკვეული დამოუკიდებელი ნიშნები ყველა მათგანში შესამჩნევი იყო.⁴

თითქმის ყველა სამართლებრივი დარგი, რომელიც წარმოდგენილია სამოქალაქო კოდექსში, რომის სამართლიდან იღებს სათავეს. ზოგიერთი მათგანი, მართალია კონკრეტულად არ წესრიგდებოდა , მაგრამ იმ ძირითადმა საკანონმდებლო დათქმებმა და პრინციპებმა , რომელიც რომის ეპოქაში მოქმედებდა , ხელი შეუწყო თანამდეროვე სახით ჩამოყალიბებას.⁵

რომის სამართალში ხელშეკრულების თავისუფლება, რა თქმა უნდა , არ იყო წარმოდგენილი , როგორც ეს დღევანდელ რეალობაშია. ხელშეკრულება რომის სამართალში მოიაზრებოდა როგორც ორი ან მეტი პირის ისეთ შეთანხმებას, რომელიც მათ შორის ვალდებულებას წარმოშობდა.⁶

სახელშეკრულებო პრინციპები თანამდეროვე დროში უფრო და უფრო ვითარდებოდა ვიდრე ეს რომის სამართალში იყო. რის შედეგადაც მოხდა ურთიერთობების გამიჯვნა⁷. სხვადასხვა სახის ხელშეკრულების დადების საჭიროებიდან გამომდინარე , რომში ხელშეკრულების ოთხი სახე ჩამოყალიბდა⁸.

აქედან გამომდინარე შეძლება ითქვას, რომ რომის სამართალმა დიდი როლი ითამაშა სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების განვითარებაში.

⁴ ჯორბენაძე ს, ,, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში “ თბილისი 2017 გვ. 34

⁵ იქვე , გვ. 36

⁶ იქვე , გვ . 36

⁷ ნადარეიშვილი გ. , რომის სამოქალაქო სამართალი , გამომცემლობა ,, ბონა კაუზა“ , თბილისი 2009 , გვ.99

⁸ გარიშვილი მ., ხოფერია მ. , რომის სამართალი , გამომცემლობა ,,მერიდიანი“ თბილისი, 2013 , გვ 371.

თავი 2. კეთილსინდისიერების განვითარების ისტორია

სამართლებრივ ურთიერთობაში კეთილსინდისიერების პრინციპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტია. ამ პრინციპით კონტროლდება სუბიექტების მოქმედების თავისუფლების ფარგლები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან ან ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმიდან არ გამომდინარეობს.⁹

სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან , კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლება- მოვალეობანი.¹⁰

კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით , ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. მის საფუძველზე შესაძლებელია აღმოიფხვრას როგორც კანონის , ისე ხელშეკრულების ხარვეზი. ¹¹

აქედან გამომდინარე, კეთილსინდისიერების პრინციპი გულისხმობს შემდეგ , რომ მხარეებმა, გარდა თავიანთი ვალდებულებები ჯეროვნად შესრულებისა უნდა იმოქმედონ მორალისა და ზნეობის ფარგლებში, ისე რომ ექვემ არ დააყენონ თავიანთი კეთილსინდისიერება და პატიოსნება.

კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სიწმინდეს, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობას, ერთგულებას და სხვ. ¹²

როგორც უკვე აღვნიშნე , კეთილსინდისიერების პრინციპი საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებული ნორმატიული ხარვეზის შევსების ფუნქციას ითვალისწინებს. აღნიშნული ეფუძნება მოსაზრებას, რომ თავიდან აიცილოს

⁹ კერესელიძე დ. სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009 წელი, გვ.83

¹⁰ სსკ 8 მუხლი (3)

¹¹ ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., „სახელშეკრულებო სამართალი“ , თბილისი, 2014 გვ 376

¹² იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა), ,, ქართული სამართლის მიმოხილვა“ , სპეციალური გამოცემა, თბილისი , 2007 , გვ 32

უსიამოვნო შედეგი.¹³ მაგალითად , ხელშეკრულების მონაწილე მხარემ უნდა გაითვალისწინოს ეთიკურ-სამართლებრივი პრინციპი და გულწრფელობასა და ობიექტურობაზე დაფუძნებით დადოს შესაბამისი ხელშეკრულება.

კერძო სამართალი აღიარებს კეთილსინდისიერების პრინციპს, რომელიც აკონკრეტებს კერძო სამართლის მოქმედების თავისუფლების ფარგლებს.¹⁴

რაც შეეხება კეთილსინდისიერების პრინციპს წარმოშობას , ის პირველად რომის სამართალში გვხვდება და მანდედან მიყოლებული გამოიყენება. პრინციპი *bona fides* (კეთილსინდისიერება) მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა *ius civile* -სა და რომაულ სამართლებრივ აზროვნებაში. *Bona fides* გამოიყენებოდა საქმიან ურთიერთობებში და ნიშნავდა , რომ მხარეები თავიან სიტყვას და მოცემულ პირობას დაიცავდნენ (*bona fides negotia*), წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულ მხარეს უფლება ჰქონდა, წარედგინა *ex fide bona* პრეტენზია და კონტრაქტისგან იძულებით აღსრულება *exception doli (generalis)*- სარჩელის საფუძველზე მოეთხოვა.¹⁵

ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯერ კიდევ ძველ რომში თავისუფლად გამოიყენებოდა კეთილსინდისიერების პრინციპი და ძალზედ მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა, მხარეები ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და პირნათლად ასრულებდნენ წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი სანქციები ეკისრებოდათ.

კოდიფიკაციების ეპოქაში კეთილსინდისიერების პრინციპმა თავის მნიშვნელობა არ დაკარგა, რაც ბუნებითი სამართლის სკოლის დამსახურებაა. მან თავისი გამოხატულება პოვა ფრანგულ *code civil*- ში, ავსტრიის (*ABGBG*), ჰოლანდიის (*BW*) , გერმანიისა (*BGB*) და შვეიცარიის (*ZGB*) სამოქალაქო

¹³ ჯორბენაძე ს, ,, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში "თბილისი 2017 გვ. 66

¹⁴ როგავა , რ 2016 კეთილსინდისიერების პრინციპია გავლენა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის პუბლიკაციები, 2016 გვ.28

¹⁵ ვაშაკიძე გ . კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1 გვ 2

კოდექსებში. ყველაზე დიდი გავლენა bona fide –მ მოახდინა გერმანიის სამოსამართლო აზროვნების ჩამოყალიბებასა და სამართალ განვითარების პროცესზე.¹⁶

2.1 კეთილსინდისიერების პრინციპი და საქართველო

დიდი დრო არაა გასული რაც საქართველო საბჭოთა სამართლებრივი სივრციდან გამოვიდა. ამიტომ კეთილსინდისიერების პრინციპის განხილვას ვიწყებს სწორედ უახლოესი წარსულიდან . კეთილსინდისიერების შესახებ დათქმა უარყოფილი იყო საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მიერ შემდეგი მოძღვრებით რომ - კეთილსინდისიერების შესახებ დათქმა უზრუნველყოფს კერძო ინტერესების ბალანსს და ადგენს სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისას თავისუფლების კერძო სამართლებრივ ფარგლებში, ხოლო საბჭოთა სისტემა ამგვარ იდეოლოგიას არ მიიჩნევდა ნაყოფიერად. მეტიც კერძო საკუთრებს უფლებაც გაუქმდა. აქედან გამომდინარე ხელშეკრულებების საჭიროებაც არ იყო საჭირო. მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი არ გამოყენებოდა საბჭოთა პერიოდში. კეთილსინდისიერების კატეგორიას იცნობდა საბჭოური სამართალიც, ამრიგად ქართული სამოქალაქო სამართლისთვის სიახლეს არ წარმოადგენდა. კეთილსინდისიერების კატეგორია საბჭოთა ეპოქაში , ძირითადად გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც წყდებოდა კეთილსინდისიერი შემძენის სავინდიკაციო სარჩელი. მეტწილად ეხებოდა უკანონო მფლობელობის კეთილსინდისიერებას. ასევე, საბჭოთა პერიოდში ვალდებულებითი სამართალი კეთილსინდისიერების პრინციპს მთლიანად ცვლიდა როდესაც ხდებოდა მისი ანალოგი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების შესრულება.¹⁷ ამასთან, კეთილსინდისიერების პრინციპი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სანივთო,

¹⁶ იქვე, გვ 3

¹⁷ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 34

საოჯახო თუ მემკვიდრეობით სამართალშიც.¹⁸

ჯერ კიდევ, საბჭოთა ეპოქაში მართალია მეტ-ნაკლებად მაგრამ მაინც გამოიყენებოდა კეთილსინდისიერების პრინციპი და ნელ-ნელა მისი რომელიც იზრდებოდა სამოქალაქო სამართალში.

კეთილსინდისიერების ტერმინს იცნობდა 1991 წელს მიღებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები. მაგრამ, საქართველოსთვის ამ აქტის დიდი მნიშვნელობა არ ქონდა რადგან, საბჭოთა კავშირი დაშლის პირას იყო, მაგრამ ისტორიული და შემეცნებითი თვალსაზრისით იგი საინტერესო არის. ამ აქტის საფუძველზე ჩაყრა ხელშეკრულების რეალური თავისუფლების აღორძინების საკითხს.¹⁹

კეთილსინდისიერების პრინციპის ასახვას მოქმედ სამოქალაქო კოდექსში საფუძველი ჩაუყარა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის შექმნამ. კონსტიტუციის 44-ე მუხლის თანახმად, „ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. აქედან გამომდინარე, კონსტიტუცია პირებს ავალდებულებს დაიცვას სხვების ინტერესები , უფრო პრიორიტეტი მიანიჭონ მათ, ვიდრე საკუთარ ინტერესებს. ე.ი კონსტიტუცია ამკვიდრებს კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებას და კრძალავს ამ უფლების ბოროტად გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში პირდაპირ არაა მითითებული კეთილსინდისიერების პრინციპი , ამ ყველაფრიდან გამომდინარე ნათლად იკვეთება ძირითადი მიზნები, კერძოდ: იკრძალება საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების წინა ხაზზე წამოწევა სხვების ინტერესების ხარჯზე, ერთგულება, გულისხმიერება , სხვების ინტერესების გათვალისწინება და ა.შ.²⁰

ზემოთთქმულიდან , ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ სანამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში აისახებოდა ეს პრინციპი წინაპირობა იყო კონსტიტუცია ,

¹⁸ კერესელიძე დ. სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009 წელი, გვ.85

¹⁹ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 35

²⁰ იქვე 36

მართალია, პირდაპირ არ იყო მისი მნიშვნელობა განმარტებული, მაგრამ მუხლიდან იკვეთება მთავარი აზრი, რომ მხარეებმა უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად პირველ რიგში გაითვალისწინოს სხვისი ინტერესები და პატივი სცენ მათ.

რაც შეეხება დღეს მოქმედი სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლებს და ქართულ სამოქალაქო კოდექსში ასახულ კეთილსინდისიერების პრინციპის კონცეფციას, მათში კეთილსინდისიერება მოცემულია ზოგადი და ყოვლისმომცველი ვალდებულების სახით. განიმარტოს ხელშეკრულება კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად და სუბიექტებმა იმოქმედონ კეთილსინდისიერებაზე დაყრდნობით.^{21 22}

2.2 საზღვარგარეთის ქვეყნები

ევროპის სამართალში მე-19 საუკუნე მიიჩნევა ხელშეკრულების განვითარების ეტაპად. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, გარკვეულ ქვეყნებში იმ დონემდე განვითარდა რომ, იგი მოწესრიგდა არა როგორც

პრინციპი არამედ , როგორც ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელი წინაპირობა. ევროპის ქვეყნებში მეტწილად ძველი რომის სამართალზე დაყრდნობით ვითარებოდა სახელშეკრულებო თუ სამოქალაქო სამართალი.²³

გერმანია - კეთილსინდისიერების პრინციპს იცნობს როგორც გერმანული, ასევე რომანული და საერთო სამართლის ოჯახები. მაგრამ, ამ პრინციპზე მათი მიდგომა არის განსხვავებული. Civil law- ის ქვეყნებში bona fides-ს დიდი ხნის ისტორია აქვს საერთო სამართლისგან განსხვავებით.²⁴

²¹ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 37

²² უფრო ვრცლად ამ საკითხს იხილავთ სხვა პარაგრაფებში.

²³ ჯორბენაძე ს, ,, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში “თბილისი 2017 გვ. 36

²⁴ *Simm*, Good Faith in CISG, Pace Law School Data Base to CISG, Good, The Concept of “Good Faith” in English Law, Rome: Centro di Studi e Ricerche di Diritto Comparato e Straniero, 1993, <http://www.cnr.it/CRDCS/nicholas.htm>.

ვალდებულებით სამართლის ცენტრალურ კატეგორიას წარმოადგენდა, გერმანული დოქტრინის კატეგორია „treu und glauben” ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში სანამ შეიქმნებოდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. გსკ-ს 242- მუხლი მიიჩნევა ნორმა-პრინციპად, ისევე როგორც კეთილსინდისიერების წარმოშობა და მნიშვნელობა²⁵ გერმანულ იურისტებში დიდ კონფლიქტს იწვევდა კეთილსინდისიერების პრინციპის წარმოშობა და წარმომავლობა. გერმანისტებსა და რომანისტებში კეთილსინდისიერების პრინციპისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარი იყო, ერთი მხრივ გერმანისტები კეთილსინდისიერების პრინციპის მიიჩნევდნენ გერმანული წარმომავლობიდან, რითაც ასაბუთებდნენ კეთილსინდისიერების ტერმინს (treu und glauben). მეორე მხრივ რომანისტები მიიჩნევდნენ კეთილსინდისიერების პრინციპის წარმოშობაზე რომაული bona fides კატეგორიიდან და ამტკიცებდნენ, რომ კეთილსინდისიერება გერმანულ სამართალში წარმოიშვა სწორედ რომის სამართლიდან.²⁶

გსკ-ის 242 - ე მუხლის მიხედვით, მოვალე ვალდებულია შესრულება განახორციელოს კეთილსინდისიერად, როგორც ამას ბრუნვის ჩვეულებები მოითხოვს.” გერმანული სამართალი კეთილსინდისიერად მოქცევის ვალდებულებას აკისრებს როგორც მოვალეს, ისე კრედიტორსაც, თუ კი ის შეეცდება თავის უფლება ბოროტად გამოიყენოს მას უარი შეიძლება ეთქვას დაცვაზე და შეეზღუდოს საკუთარი უფლებები. გერმანულ დოქტრინაში კეთილსინდისიერების პრინციპი „სამეფო ნორმად” არის აღიარებული. , რომელიც სხვა სამართლის ნორმების ზეგავლენას ახდენს.²⁷ აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ გერმანულ სამართლის სისტემის ქვეყნებში კეთილსინდისიერად შესრულების პრინციპი განმარტებულია უფრო ფართოდ და ის არ მოქმედებს მხოლოდ ვალდებულების შესრულებით ²⁸. მაშასადამე, ეს პრინციპი გავლენას

²⁵ ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., „სახელმწიფო სამართალი”, თბილისი, 2014 გვ 378

²⁶ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 21

²⁷ . ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., „სახელმწიფო სამართალი”, თბილისი, 2014 გვ 378

²⁸ იქვე გვ 378

ახდენს სამართლის ნორმებზე, რომლებიც დაკავშირებულია კეთილსინდისიერ ვალდებულებებთან. კეთილსინდისიერების ნორმა ძირითად საყრდენს წარმოადგენს გერმანიის სამართალში.

Treu und Glaube წარმოადგენს ფუნდამენტურ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობით გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მოერგო მე-20 საუკუნის გერმანიის ისტორიაში მომხდარ პოლიტიკურ, ეკონომიკურ სოციალურ ცვლილებებს. მე-20 საუკუნის 20-იან წლებში სასამართლოები აღარ იყენებდნენ ნომინალიზიმის პრინციპს, რადგან არსებული საკანონმდებლო ბაზა ვეღარ უზრუნველყოფდა ომით გამოწვეულ კრიზისს. ამიტომ, რაიხის სასამართლო აღარ იყენებდა პრინციპს „მარკა უდრის მარკას“ ვინაიდან ეს ეწინააღმდეგებოდა კეთილსინდისიერების პრინციპს.²⁹

გერმანული ვალდებულებითი სამართლისა და სამოქალაქო სამართლის მთელ სისტემას „ოქროს ძაფად გასდევს პრინციპი „true und glauden“, რომლის მნიშვნელობაც აღიარებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტების ნორმების გამოყენებისა და განმარტების დროს.³⁰

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ 242-ე მუხლს არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა, გერმანული სამართლის განვითარებისთვის, 1903 წელს სენატმა აღნიშნა, რომ გარიგების შინაარსის განსაზღვრისას და ასევე ხელშეკრულების შესრულებისთვის ითვალისწინებს პრინციპს „true und glauben“ და კეთილსინდისიერება უნდა ბატონებდეს მთელს სამოქალაქო ბრუნვაში, ყველა უნდა მოქმედებდეს პატიოსნებითა და წესიერებით.

გერმანულ სამართალში კეთილსინდისიერების აღსანიშნავად გამოიყენება გამოთქმა treu und Glaben, რაც ნიშნავს ნდობასა და ერთგულებას. Treu ნიშნავს ერთგულებას, ლოიალურობას, უტყუარობას, საიმედოობას, ხოლო glaube ნიშნავს

²⁹ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 22

³⁰ იქვე 23

მტკიცე რწმენის ქონას.³¹

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაში კეთილსინდისიერების პრინციპის განსამარტად სხვადასხვა ტერმინოლოგია გამოიყენებოდა. კეთილსინდისიერებას მიიჩნევდნენ, ნორმად პრინციპად, ვალდებულებად, ზოგად დათქმად. უმეტეს შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპი ევროპის ქვეყნებში მიიჩნეოდა ზოგად დათქმად ან სამართლის ზოგად პრინციპად.³²

კეთილსინდისიერების პრინციპი გერმანიაში წარმოადგენს ზოგად ნორმას, და არა შეფასებით კატეგორიას. ამ პრინციპის გამოყენების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ორი ან მეტ სუბიექტს შორის ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას. სავალდებულოა არსებობდეს მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა რა დროსაც გამოიყენება გსკ-ს 242 მუხლი. 242 -ე მუხლის განმარტებისას, ზოგად სამართლებრივ პრინციპად არის მიჩნეული მასში ასახული კეთილსინდისიერად მოქცევის ვალდებულება, რომელიც მთელ გერმანულ სამართალში მორალურ-ეთიკური ნორმების ძირითად მეგზურს წარმოადგენს.³³

გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში 242-ე მუხლის გამოყენების დროს, სცილდება მის მნიშვნელობას და დიდ ზეგავლენას ახდენს მთელს სამართლის სისტემაზე. მოსამართლეს შეუძლია გაითვალისწინოს კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი შეფასებები და ფასეულობები. კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე ხშირად ყალიბდება ახალი ქცევის წესები, ასევე ნორმების შერბილება და კორექტირება.³⁴

კეთილსინდისიერების პრინციპის სასამართლოების მიერ გამოყენებულ უნდა

³¹ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 24

³² იქვე 24

³³ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 27

³⁴ კერესელიძე დ. სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009 წელი, გვ.94

იქნეს გონივრულად და ობიექტურად. მაქსიმალურად რამდენადაც ეს შესაძლებელია, რადგან მოსამართლეს მცირე შესაძლებლობას უტოვებს რომ მან იმოქმედოს სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით.³⁵

გერმანიის სამართალში , როგორც უკვე ვთქვით კეთილსინდისიერების პრინციპს ეწოდებოდა ზოგადი დათქმა, თუმცაღა სხვა ქვეყნების თეორიასა და პრაქტიკაში ეს ტერმინი , „ზოგადი დათქმა” არ გამოიყენებოდა, ხაზი ესმებოდა იმას, რომ ეს არის სამართლის ზოგადი პრინციპი. მაგ: ფრანგული სამართლის მიხედვით კეთილსინდისიერების სამართალი მოაზრება როგორც ზოგად პრინციპი , საფრანგეთის საკასაციო სასამართლო კი კეთილსინდისიერების სამართალს მიიჩნევს, როგორც ზოგად პრინციპს.³⁶

ზოგად დათქმასა და ზოგად პრინციპის კატეგორიებს შორის მსგავსება შემდეგში მდგომარეობს რომ ორივე მათგანი ზოგადი ხასიათისაა აღიარებულია იურისპრუდენციის მიერ და ფართოდ გამოიყენება , განსხვავება კი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგადი დათქმა კანონის დებულებაა დაა ზოგადი პრინციპი კი შეიძლება არც კი იყოს ასახული კანონში. ³⁷

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპმა დიდი გავლენა მოახდინა სამართლებრივ სისტემაზე, კანონმდებლობაში შესაძლებლობას იძლევა შეცვალოს ძველი და შექმნას ახალი ქცევის წესები.

საფრანგეთი - ძველ დროში ჯერ კიდევ მე-17 და მე-18 საუკუნეში ფრანგი იურისტები ასახელებდნენ კეთილსინდისიერების პრინციპს სამართლის სისტემის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად. კერძოდ ფრანგი იურისტის დომას ³⁸

³⁵ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა), ,, ქართული სამართლის მიმოხილვა” , სპეციალური გამოცემა, თბილისი , 2007 , გვ 34

³⁶ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 28

³⁷ იქვე 28

³⁸ დომა პირველი ფრანგი იურისტი, რომელიც თავის ნაშრომებში ვალდებულებებს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს . იხ : ჯუდელი თ ., მორალური ვალდებულებების ადგილი სამოქალაქო სამართალში ,ჟ ,, ადამიანი და კონსტიტუცია ,, , N4 ,2005 ,გვ 66

აზრით, ყველა ადამიანი უნდა იხელმძღვანელოს მოცემული დანაწესით თავისი ვალდებულებების შესრულების დროს. მე-19 საუკუნის ევროპაში, სამოქალაქო სამართლის პირველი კოდიფიცირებული აქტი, რომელშიც აიხსნა კეთილსინდისიერების პრინციპი, ეს იყო 1804 წლის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი.

ფრანგულ სამართალში, ყველა ხელშეკრულება ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. არ არსებობს ისეთი სახის ხელშეკრულება, რომელშიც არ მოიაზრებოდეს, რომ ორივე მხარე ერთმანეთის მიმართ უნდა მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად.³⁹

XX საუკუნის შუა პერიოდამდე ფრანგულ იურისპრუდენციაში არ შეუსწავლიათ კეთილსინდისიერების პრინციპი ვალდებულებით სამართალში. ამის მიზეზად ფრანგი იურისტები ასახლებდნენ რევოლუციურ მოვლენებს.⁴⁰

გერმანული სამართლისგან განსხვავებით, ფრანგული სამართალი მოსამართლეებს ძალიან მცირე შანსს უტოვებდა, რომ ხელშეკრულების თავისუფალი ინტერპრეტაცია და ხელშეკრულების თავისი შეხედულებით შინაარსი დაედგინა მოეხდინათ. მათი აზრით ეს იყო მოსამართლის მხრიდან მიუტყევებელი ჩარევა. ფრანგული code civil შეიცავს მცირე რაოდენობის ნორმებს, სადაც ხელშეკრულების მხარეთა შორის განსაკუთრებული ლოიალურობის დაცვაზე მიუთითებდნენ. ფრანგული სამოქალაქო კოდექსი 1109-ე - 1117 -ე მუხლები ითვალისწინებენ ბოროტ განზრახვას, როგორც ხარვეზით ხელშეკრულების დადებისას.⁴¹

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში კეთილსინდისიერების პრინციპი მოიაზრებოდა როგორც „ფრანგული სამართლის მკვდარი პრინციპი“, რომელიც არანაირ ზეგავლენას არ ახდენდა სამართლებრივ ურთიერთობებზე. დღეის

³⁹ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 16

⁴⁰ იქვე 17

⁴¹ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 17

მდგომარეობით ეს მიდგომა შეცვლილია იგი აღარ არის „ მკვდარი პრინციპი“ ამას ადასტურებს სხვადასხვა მეცნიერული გამოკვლევები დაა სასამართლო პრაქტიკები.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეთანხმებების (ხელშეკრულებების) მხარეებს პირდაპირ სთხოვს ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებას. ამავე პრინციპს გადმოსცემს შემდეგი მუხლი, კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1135-ე მუხლის თანახმად, შეთანხმებები (ხელშეკრულებები) ავალდებულებს, არა მარტო იმით, რაზეც მხარეები პირდაპირ შეთანხმდნენ, არამედ ასევე იმ შედეგებით, რომლებსაც სამართლიანობა, ჩვეულება ან კანონი ითვალისწინებს ვალდებულებისათვის ამ უკანასკნელის ბუნების შესაბამისად. იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1175-ე მუხლი კეთილსინდისიერების ნორმების შესაბამისად მოქმედებას პირდაპირ ავალდებულებს როგორც მოვალეს, ისე კრედიტორს.⁴²

ინგლისი - ინგლისის სასამართლო პრაქტიკაში კეთილსინდისიერები პრინციპი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჩნდება. მაგ: საქმე carter v boehm (1766) , ლორდ მენსფილდმა მიუთითა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპით უნდა მოქმედებდნენ ყველა ხელშეკრულებასა თუ გარიგებებში . თუმცა ამ იდეამ განვითარება ვერ ჰპოვა შემდეგ საუკუნეებში. ინგლისური სამართალი კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებაში დადებითად არ იყო განწყობილი. ამის მაგალითები ლიტერატურებშია განხილულები. პირველი ის რომ , თუ ზოგადი პრინციპების არსებობაა აუცილებელი მაშინ პარლამენტის მიერ უნდა ჩამოყალიბდეს დაა არა სასამართლოს მიერ. მეორე , თუ კეთილსინდისიერები პრინციპით უნდა იხელმძღვანელონ ხელშეკრულების მონაწილეებმა მაშინ ისინი შებოჭილები უნდა იყვნენ მხოლოდ იმ პირობებით რომელთა საფუძველზეც მოხდა მათი შეთანხმება და ეს თავისუფლების დარღვევას გულისხმობს. მესამე გახლავთ , კეთილსინდისიერების პრინციპი

⁴² ჭეჭელაშვილი ზ, სახელშეკრულებო სამართალი , თბილისი , 2008 , გვ 132

ადგენს არა იურიდიულ კრიტერიუმებს.⁴³

ინგლისის სამართალში როგორც ასეთი ცნება კეთილსინდისიერების არ არსებობს. სტეინის აზრით : „ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება შესაძლებელია , მაგრამ კეთილსინდისიერების კატეგორიას არ უნდა მიეცეს მეტისმეტად დიდი ზნეობრივი შინაარსი, ჩვეულებრივი ადამიანების წარმოდგენებსა და ჩვეულებებს უნდა ეფუძნებოდეს.⁴⁴

ლორდ სტეინის მიერ დიდი ყურადღებას ეთმობა იმას, რომ განსხვავებას ვერ პოულობს კეთილსინდისიერების ობიექტურ მოთხოვნასა და გონივრულ მოლოდინს შორის. მეტიც კეთილსინდისიერების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს მას.⁴⁵

სასამართლომ დავის განხილვის დროს უნდა გაითვალისწინოს მხარის გონივრული მოლოდინი, მაგრამ ყოველთვის არა.⁴⁶

ინგლისის სამართალი კეთილსინდისიერების პრინციპს დიდად არ აღიარებდა, თუმცა არსებობდა რამდენიმე წესი , რომელიც ამ პრინციპის მსგავსი იყო. მისი შინაარსი განიმარტებოდა როგორც ხელშეკრულების მხარეთა გონივრული მოლოდინის მოთხოვნა. მიუხედავად იმისა , რომ მოსამართლებს გადაწყვეტილება გამოქონდათ კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინების გარეშე , რაღაც ნაწილში მაინც ითვალისწინებდნენ მხარეების ინტერესებს , თუმცა მათთვის პრიორიტეტი იყო, რომ სასამართლო დარჩენილიყო გამჭირვალე და მოულოდნელობისგან დაცული.

ინგლისთან შედარებით მეტად დიდ ყურადღება ეთმობოდა აშშ-ს სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპს. ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი (uniform commercial code, UCC), რომელიც მოქმედებს ამერიკის სამოცდაათ შტატში , ადგენს

⁴³ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 29

⁴⁴ Steyn J., The Role of Good Faith and Fair Dealing in Contract Law: A Hair-Shirt Philosophy? Denning. Law Journal. Vol. 6., 1991,140-141.

⁴⁵ Steyn J., Contract Law: Fulfilling the Reasonable Expectations of Honest Men. Law Quarterly Review. Vol. 113., 1997.439

⁴⁶ იქვე გვ 434

რომ ხელშეკრულება თუ ვალდებულება , რომელიც წარმოიშვა ამ კოდექსის მიხედვით უნდა განხორციელდეს კეთილსინდისიერად.⁴⁷

კეთილსინდისიერების პრინციპი ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში განსხვავებულია ვერბალური თუ შინაარსობრივი კონიუნქტურით სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსებში. მათ შორისაა ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის (BW) 6: მე- 2 და 6 : 248-ე, იტალიის სამოქალაქო კოდექსის(codce civile) 1375-ე, საბერძნეთის სამოქალაქო კოდექსის (code civil) 1134-ე , ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის (codigo civil) მე-7 და სავაჭრო კოდექსისი57-ე მუხლებში.⁴⁸

ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის 6:2:1- ე მუხლი მხარეებს სთხოვს არა მარტო ერთმანეთის მიმართ კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას არამედ მესამე პირთა მიმართაც .⁴⁹

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **იტალიის** სამოქალაქო კოდექსშიც. სადაც იგი განხილულია რამდენიმე მუხლში , მხარეთა წინა სახელშეკრულებო ვალდებულებათა განსაზღვრის (მუხ 1337-ე Cc), ხელშეკრულების დებულებათა განმარტების (მუხ 1366 Cc) და ვალდებულებათა შესრულების (მუხ 1375 Cc) ეტიკურ მასშტაბებს განსაზღვრავს.⁵⁰

საფრანგეთის, ბელგიისა და ლუქსემბურგის სამოქალაქო კოდექსების (CODE CIVIL) 1134-ე მუხლების მიხედვით , მხარეებს ვალდებულება ეკისრებათ თავიანთი სახელშეკრულებო ვალდებულებები კეთილსინდისიერად შესრულონ. თუმცადა როგროც უკვე წინათ აღვნიშნეთ ფრანგი მოსამართლეები ნაკლებად ეყრდნობიან ამ პრინციპს გადაწყვეტილების მიღებისას, რაც გამომდინარეობს

⁴⁷ ვაშაკიძე გ . კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1 გვ 11

⁴⁸ იქვე, გვ 8

⁴⁹ იქვე გვ 8

⁵⁰ იქვე გვ 8

ბუნებითი სამართლიდან (code civil).⁵¹

კეთილსინდისიერების პრინციპს არ ცნობს, დსთ-ს არცერთი სამოქალაქო კოდექსი.⁵² დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი ამ პრინციპს საერთოდ არ თვალისწინებდა. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსში (რფსკ) კეთილსინდისიერები პრინციპი არა მარტო ზოგად ნაწილშია უყურადღებოდ დატოვებული, არამედ სპეციალურ მუხლებში ნაკლებად შეიმჩნევა. მაგ: რფსკ-ის 408-ე მუხლში პირველი ნაწილის თანახმად, „ვალდებულება წყდება ჯეროვანი შესრულებით“. ჯეროვანი შესრულება მოიაზრება ვალდებულების შესრულება შეთანხმებულ დროსა და ადგილას, ისე როგორც კანონითაა განსაზღვრული.⁵³ თუმცა, რუსი მეცნიერები ჯეროვნებასთან ერთად ვალდებულების შესრულებას მოიაზრებდნენ როგორც ლოიალურობისა და კეთილსინდისიერების წინაპირობად, მაგრამ კანონით პირდაპირ ეს არ იყო გაწერილი.⁵⁴

ჩემს, მიერ ზემოთ განხილულ ქვეყნებში კეთილსინდისიერების პრინციპს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, გამონაკლისს წარმოადგენს ინგლისი, სადაც ნაკლები ყურადღება ეთმობა მას. კეთილსინდისიერების პრინციპი დიდ როლს თამაშობს სახელმწიფოებო სამართალში, სადაც მხარეები ვალდებულების შესრულებისას მოქმედებენ კეთილსინდისიერებისა და პატიოსნებაზე დაყრდნობით ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს და პრიორიტეტად არ აყენებენ თავიანთ ინტერესებს.

⁵¹ ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართალი მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1 გვ 9

⁵² გარდა საქართველოს, აზერბაიჯანისა (ასკ, მუხ. 5:3) და თურქმენეთის სამოქალაქო კოდექსებისა.

⁵³ იქვე, გვ 10

⁵⁴ იქვე, გვ10

თავი 3. კანონმდებლობით რეგულირებული კეთილსინდისიერების პრინციპი

3.1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

კეთილსინდისიერების პრინციპი ევროპის ქვეყნებში განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსით. ცხადია ყველაზე დიდი გავლენა იქონია გერმანულ სამოქალაქო კოდექსმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში კეთილსინდისიერების ასახვისას, რომელიც ჩამოილია სხვადასხვა მუხლში, კერძოდ: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლით გათვალისწინებულია შემდეგი: „ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.“⁵⁵

სამწუხაროა, ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგაც კი , რაც საქართველოში მოხდა მისი რეცეფცია ქართულ კანონმდებლობაში, სასამართლოების მხრიდან წარმატებით არ იქნა გამოყენებული⁵⁶

1997 წლის 25 ნოემბრიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებით კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება გაფართოვდა საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით . განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელშეკრულებო სამართალში, გასაკვირი არცაა, რადგან სახელშეკრულებო სამართალი ყველაზე მნიშვნელოვანი და მოცულობითია.⁵⁷

სსკ-ის მე-8 მუხლის თანახმად , კეთილსინდისიერების ქცევის სტანდარტები

⁵⁵ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა), ,, ქართული სამართლის მიმოხილვა” , სპეციალური გამოცემა, თბილისი , 2007 , გვ 12

⁵⁶ ცხადია, აქ იგულისხმება კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც ასახულია სსკ-ის 361 -ე II მუხლში, სახელშეკრულებო ურთიერთობებთან დაკავშირებით და არა კეთილსინდისიერების პრინციპი , რომელიც ასახულია სანივთო სამართალში, მოძრავ ნივთებზე საკუთრების შექმნასთან დაკავშირებით. განხილულია : იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა), ,, ქართული სამართლის მიმოხილვა” , სპეციალური გამოცემა, თბილისი , 2007 , გვ 12

⁵⁷ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 37

ვრცელდება მთელს კერძო სამართალზე.⁵⁸

კეთილსინდისიერების შესახებ ზოგადი დათქმა ჩამოუყალიბებელია, რომელიც მოსამართლეებს საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების გამოტანაში იმოქმედოს კონკრეტული საქმის სპეციფიკით. განსხვავება ზოგად დათქმასა და ჩვეულებრივ ნორმებს შორის არის შემდეგნაირი, რომ მოსამართლეს მეტი თავისუფლება აქვს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, პირმა უნდა შეასრულოს მხოლოდ ის ვალდებულება რომელიც მას აკისრია სამართლებრივი ურთიერთობის დროს და არა ის რაც მას არც ხელშეკრულებით და არც სხვა რაიმე სახით არ ეკისრება.⁵⁹

სსკ -ის 361 მუხლით ნაკისრი ვალდებულება კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს. ანუ ეს მოიცავს, რომ მხარემ კეთილი ნება უნდა გამოხატოს და გულისხმიერებით იმოქმედოს. მოვალემ პირველ ყოვლისა, ვალდებულება დათქმულ დროს უნდა შეასრულოს, უნდა გაითვალისწინოს კრედიტორის ინტერესი.

სსკ-ის 361 -ე მუხლში მითითებული დებულება, რომელიც სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპია, მოითხოვს კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულებას. კეთილსინდისიერების პრინციპი მართალია მეტწილად გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობისას, მაგრამ ეს პრინციპი გამოიყენება მაშინაც როდესაც ადგილი აქვს წინა სახელშეკრულებო მოლაპარაკებებს.⁶⁰

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე ნორმაში ნახსენებია „კეთილსინდისიერების“ ტერმინი, თუმცა ამ პრინციპის განმარტებას ვერსად

⁵⁸ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა), ,, ქართული სამართლის მიმოხილვა”, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007, გვ 18

⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლო 2011 წლის 23 ივნისი გადაწყვეტილება საქმეზე N ას - 1388-1224-10

⁶⁰ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 39

ვხვდებით. კანონმდებლობაში ამ ტერმინის დეფინიციის არარსებობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ხასიათდება როგორც შინაარსის გარეშე კატეგორია . კანონი ბევრ შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღებისას იმოქმედოს საქმის თავისებურები. სასამართლომ აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება ნდობის ასპექტზე. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ნდობის მოთხოვნა აწესებს კონტრაქტის ვალდებულებას არ შელახოს მეორე მხარის ღირსება არ შეურაცხყოს იგი.⁶¹

ზემოთ განხილული ნორმებიდან გამომდინარე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით კეთილსინდისიერებს პრინციპს ზუსტი განმარტება არ აქვს, ის ზოგადი ხასიათისაა. სსკ მხარეებს ავალდებულებს სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს ერთმანეთს პატივისცენ და არ შელახოს მისი იმიჯი და ღირსება.

სსკ-ის 361-ე მუხლის მოქმედების არეალი არ შემოიფარგლება მხოლოდ მოვალით, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულებები და მოთხოვნები ვრცელდება, როგორც კრედიტორზე ისე მოვალეზეც.

სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილიც , თვის ფორმულირებით თითქოს ეხება მხოლოდ მოვალის ქცევის განსაზღვრულ წესს. მუხედავად ამ ფორმულირებისა ეს ნორმა გამოიყენება ყველა მონაწილე მხარის მიმართ. იგივე მიდგომას ვხვდებით გერმანულ სამართალში გსკ- ის 242-ე მუხლის მიმართ.

ამრიგად , კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება ვალდებულებით ურთიერთობის დროს ორივე მხარის ინტერესების დაბალანსების და გაწონასწორების მიზნით.⁶²

⁶¹ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 42

⁶² იქვე გვ 43

3.2 საერთაშორისო ნორმებსა და საერთაშორისო აქტებში

თავდაპირველად საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ ვენის 1980 წლის კონვენციაში აისახა კეთილსინდისიერების პრინციპი. მე-7 მუხლის 2 ნაწილით გათვალისწინებული იყო შემდეგი, რომ სავალდებულო იყო „კეთილსინდისიერების დაცვა საერთაშორისო ვაჭრობაში“. ⁶³ ეს დებულება მხარეების მიმართ არ იყო მიმართული უფრო სასამართლოსკენაა, ანუ სასამართლოებმა კონვენციის განმარტების დროს უნდა იმოქმედონ საერთაშორისო ვაჭრობაში კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით. კეთილსინდისიერების ცნება მოიცავს მეორე მხარისთვის უტყუარი ინფორმაციის მიწოდებას საქონლის შესახებ ასევე საქმიანი ეთიკის დაცვას და სხვ.⁶⁴

ამერიკაში უნიფიცირებულმა სავაჭრო კოდექსმა 1-203 მუხლში განსაზღვრა , რომ „ ყოველი კონტრაქტის ან ვალდებულების შესრულებისა და იძულებითი განხორციელების დროს მოქმედებს კეთილსინდისიერების მოვალეობა” და ამ მიზნით 1-201 მუხლი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც „პატიოსნებას ყველაფერში, რაც ქცევის ან გარიგებას ეხება“⁶⁵. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აშშ უნიფიცირებული სავაჭრო კოდექსი უფრო ამომწურავადაა განსაზღვრული კეთილსინდისიერების ცნება ვიდრე ვენის კონვენციაში. სავაჭრო კოდექსის სამართალი მიმართულია მხარეებისკენ, მაგრამ კეთილსინდისიერების გამოყენება შეზღუდულია იგი არ ვრცელდება წინა სახელშეკრულებო სტადიაზე. ⁶⁶

კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება სხვადასხვა ნაციონალურ თუ საერთაშორისო აქტებში . მაგ. კეთილსინდისიერება და პატიოსნად საქმიანობის პრინციპი ასახულია უნიდროას საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების 1.7 - ე მუხლში. რომელშიც, გაწერილია, რომ „ ყველა მხარე უნდა

⁶³ <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/treaty.html>

⁶⁴ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 46

⁶⁵ <http://www.casefilemethod.com/Statutes/Short%20UCC.pdf>

⁶⁶ იქვე, გვ. 47

მოქმედებს კეთილსინდისიერებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში პატიოსანი საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად.”⁶⁷ მხარეები ვალდებულნი არიან ამ პრინციპის შესაბამისად იმოქმედონ. მსგავსი მიდგომა აქვს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1.201-ე მუხლშიც. 1.106 (1)-ე მუხლი ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მოცემულია შემდეგი წესი , რომ უფლებებისა და ვალდებულებების დროს ხელშეკრულების ყველა მხარემ უნდა იხელმძღვანელოს კეთილსინდისიერებისა და პატიოსანების შესაბამისად.⁶⁸

მხარეებს სახელშეკრულებო ურთიერთობისას, როგორც უნიდროას პრინციპებისათვის ისე ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებისათვის მსგავსია ის მიდგომა, რომ მხარეებს არ აქვთ უფლება იმოქმედონ კეთილსინდისიერების პრინციპის გვერდის ავლით. ⁶⁹

საფრანგეთის 1804 წლის სამოქალაქო კოდექსის 1134-ე მუხლის თანახმად, კანონიერად დადებული შეთანხმებები, კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს. ეს პრინციპი სამოქალაქო კოდექსით პირელ კანონად არის მიჩნეული.⁷⁰

პორტუგალიისა და ესპანეთის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულია რომ კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად უნდა იმოქმედონ მხარეებმა ყველა იმ პირობის დაცვით რაც მასშია მოქცეული. ანალოგიურად იტალიის სამოქალაქო კოდექსითაც მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერება დაიცვან არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების დროს არამედ , წინა სახელშეკრულებო პერიოდშიც.⁷¹

„ ყველამ უნდა განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები კეთილსინდისიერების შესაბამისად, ხოლო უფლების ბოროტად გამოყენების დროს მისი დაცვა არ ექვემდებარება კანონს.”⁷² შვეიცარიის

⁶⁷ http://vneshmarket.ru/content/document_r_E3922952-5DDF-4D19-8211-7BAFF3106A71.html

⁶⁸ იქვე , გვ 47

⁶⁹ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 47

⁷⁰ იქვე , გვ 48

⁷¹ იქვე, გვ 48

⁷² <https://wipolex.wipo.int/en/text/270609>

სამოქალაქო კოდექსის მე- 2 მუხლის 1 და 2 ნაწილის თანახმად განმარტებულია ამგვარად. ხელშეკრულების ბათილობა შეიძლება გამოიწვიოს კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევამ. ზოგად დებულებებშია მოცემული კეთილსინდისიერების პრინციპი , შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსში , აქედან გამომდინარე მთლიანი სამოქალაქო სამართლისთვის აქვს უზოგადესი მოთხოვნის უფლება და არამხოლოდ სახელშეკრულებო სამართლისთვის.⁷³

ევროპარლამენტისა და ევროპის კავშირის მიერ კეთილსინდისიერების პრინციპი ასახულ იქნა ევროპის სახელშეკრულებო სამართალში, რომლის სათავეშიც იდგა ოლე ლანდო. ოლე ლანდოს მიერ შედგენილ ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში მნიშვნელობანი ადგილი უკავია კეთილსინდისიერების პრინციპს. (1:105-ე მუხლი), აღნიშნულია ის ფაქტი, რომ თოთოეული მხარე ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად. ასევე შეუძლიათ მხარეებს ისე განსაზღვრონ ხელშეკრულების პირობები რომ კეთილსინდისიერების პრინციპი არ დაარღვიონ. თუ მხარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაარღვევს და მის საწინააღმდეგოდ წავა , ვალდებულია მეორე მხარეს მიყენებული ზიანი აუნაზღაუროს.⁷⁴

თავი 4. კეთილსინდისიერების პრინციპის დადებითი მხარე და უარყოფითი მხარე

4.1 კეთილსინდისიერების ფუნქციები (ხარვეზის შემავსებელი, დამატების და გამაუქმებელი, შემზღუდავი მაკორექტირებელი.)

კეთილსინდისიერების პრინციპის მნიშვნელობა რომ გავიგოთ ამისთვის განვიხილოთ შემდეგი ფუნქციები.

ევროპის ქვეყნები, გამორჩეულად კი გერმანიისა და ჰოლანდიის იურიდიული ლიტერატურა კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქციით მოიაზრებდნენ

⁷³ იქვე , გვ 48

⁷⁴ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 51

კერძოდ:

1. ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე;
2. კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომელიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატებითი ფუნქცია ;
3. აქვს გამაუქმებელი , შემზღუდავი და „ მაკორექტირებელი ” ფუნქციები.⁷⁵

ხელშეკრულების განმარტებისთვის მრავალ ქვეყანაში კეთილსინდისიერების პრინციპის მიმართავენ. ბევრ ქვეყანაში არსებობს სამართლის ნორმები, სადაც პირდაპირაა განმარტებული . მაგ: გსკ-ის 157- ე პარაგრაფი შეიცავს შემდეგ ნორმას : „ხელშეკრულებები უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ბრუნვის ჩვეულებების მხედველობაში მიღებით”.⁷⁶

ქართულ სახელშეკრულებო სამართალშიც ანალოგიურად გამოიყენება ეს სამი ფუნქცია რომელსაც განვიხილავთ ნაშრომში.

ხარვეზის შევსების ფუნქცია - ამ ფუნქციის განხილვისას უმჯობესია შედარებითი ანალიზი გამოვიყენოთ ქართულ სამართალსა და უცხოურ სამართალს შორის, უცხოელ ავტორთა მოსაზრებების გათვალისწინებით. მაგალითად, დეიზი- პიკაზოს მიერ კეთილსინდისიერების პრინციპი ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1258- ე მუხლი განიმარტება შემდეგნაირად : არ არის სავალდებულო ხელშეკრულების პირობები ზუსტად ასახავდეს ხელშეკრულების მხარეთა ნებას. მართალია ხელშეკრულების შევსება ხდება ,მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხარეებმა ხელშეკრულების დადების დროს რაიმე სახის ხარვეზი დაუშვეს. ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ მხარეებისთვის დაწესებული იქნეს

⁷⁵ იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა) , ,, ქართული სამართლის მიმოხილვა “ , სპეციალური გამოცემა , თბილისი, 2007 წ გვ. 19

⁷⁶ იქვე, გვ 19

გარკვეული ქცევის წესები მიუხედავად მათი ნებისა.⁷⁷

მოსამართლე ვალდებულია , ,, გამოავლინოს და მხედველობაში მიიღოს ყველაფერი ის, რაც მხარეებმა დამალეს, მაგრამ ,ხელშეკრულების საბოლოო მიზნის გათვალისწინებით ,მასში დაფიქსირებული უნდა ყოფილიყო , თუ ხარვეზიანი ადგილები მოწესრიგდებოდა სამართლიანობის პრინციპის და სამიანი ბრუნვის ჩვეულებათა შესატყვისად.⁷⁸

მოსამართლის მსჯელობის ამოსავალი წერტილი უნდა იყოს ის ხელშეკრულება რომლითაც კონტრაქტები მოქმედებენ. მან უნდა შეავსოს ხარვეზი, იმ კრიტერიუმებით რომლებიც შეიმუშავეს გარკვეულმა პირებმა, მსგავსი საქმეებიდან.⁷⁹ მიუნხენის კომენტარებში აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერება თავისი ფუნქციით სამართლის განვითარებას ემსახურება და მოსამართლესათვის წარმოადგენს საკვანძო კატეგორიას. სასამართლო იყენებს მას როცა შეუძლებელია გადაწყვეტილება დააფუძნოს ხელშეკრულებას ან სამართლის ნორმას. ამრიგად , კეთილსინდისიერება თავისი ფუნქციით შეესატყვისება შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის პირველ მუხლს .. მოსამართლე ვალდებულია ... გადაწყვიტოს იმ წესის შესაბამისად , რომელსაც ის დაადგენდა , კანონმდებელი რომ ყოფილიყო ,,⁸⁰

„ უნიდროას” პრინციპების მე-4 VIII მუხლში ასახულია აღნიშნული მიდგომა ნორმატიული სახით:

1.თუ კონტრაქტებმა ვერ შეათანხმეს პირობები, რომლებიც მნიშვნელოვანია მათი უფლება-მოვალეობების განსასაზღვრად, მაშინ ხელშეკრულება უნდა

⁷⁷ ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული ჟურნალი ,, ცხოვრება და კანონი“ თბილისი . N3 (27) .2014 , გვ 67

⁷⁸ იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა) , ,, ქართული სამართლის მიმოხილვა “ , სპეციალური გამოცემა , თბილისი, 2007 წ გვ. 22

⁷⁹ იქვე, გვ 22

⁸⁰ BGHZ 16, 71, მითითებულია იოსელიანი ა ,,კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა) , ,, ქართული სამართლის მიმოხილვა “ , სპეციალური გამოცემა , თბილისი, 2007 წ გვ 54

შეივსოს იმ პირობით, რომელიც მოცემული გარემოებების შესაბამისია.

2.იმის განსაზღვრისას, თუ რომელი პირობაა შესაბამისი, სხვა ფაქტორებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული :

ა) მხარეთა განზრახვა;

ბ) ხელშეკრულების ხასიათი და მიზანი;

გ) კეთილსინდისიერება და პატიოსანი საქმიანი პრაქტიკა;

დ) გონიერება;⁸¹

უნიდროას პრინციპის მე-4 მუხლიშიც ვხვდებით ხარვეზის შევსების ფუნქციას, ეს ფუნქცია მიუთითებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე როგორცაა ხელშეკრულების შევსება, ანუ მხარეებმა თავის დროზე ვერ ან არ გაითვალისწინეს გარკვეული პირობები და ამის შემდომ გარკვეული ნორმებით ამ ხარვეზებს შეავსებს. მთავარი რაც უნდა იყოს ხელშეკრულების მიზანი ესაა კეთილსინდისიერება , პატიოსნება და სხვა.

.. უნიდროას” პრინციპიპების მიხედვით შეგვიძლია განვიხილოთ ერთ-ერთი მაგალითი: ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო , რომ ფრენშაიზის მიმღები, რომელსაც ევალებოდა ფრენშაიზის მიმცემის საქონლის რეალიზაცია, არ ჰქონდა უფლება, დაკავებული ყოფილიყო ანალოგიური საქმიანობით ერთი წლის განმავლობაში ხელშეკრულების შეწყვეტის დღიდან. ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ტერიტორიული ფარგლების შესახებ, თუმცადა მართებული იქნებოდა ტერიტორიული პრინციპი გავრცელებულიყო მხოლოდ იქ სადაც ფრენშაიზის მიმღები საქმიანობდა.⁸²

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ხარვეზის შევსება მაშინაცაა შესაძლებელი თუ მხარეებს გათვალისწინებული არ ქონდათ ასეთი

⁸¹ იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა) , ,, ქართული სამართლის მიმოხილვა “ , სპეციალური გამოცემა , თბილისი, 2007 წ გვ. 23

⁸² იქვე. გვ 23

მნიშვნელოვანი საკითხები ასევე არც ერთი მომწესრიგებელი ნორმა არ გვხვდება კოდექსში. სწორედ ასეთ დროს სასამართლო მოიშველიებს კეთილსინდისიერების პრინციპს.

სსკ შეიცავს გარკვეულწილად მსგავსი შინაარსის ნორმას , კერძოდ : 325-ე მუხლით გათვალისწინებულია

1. თუ ვალდებულებების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საექვიპობისას ივარაუდება , რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.

2. თუ მხარე პირობებს არ მიიშნევს სამართლიანად, ან მათი განსაზღვრა ჭიანურდება , გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.”

ამ ნორმის განმარტებისას აღნიშნულია შემდეგი : ,, მართალია, ხელშეკრულების თავისუფლებისას მხარეთა ნება გადამწყვეტია , მაგრამ თვითნებობის უფლებას კანონი არ აძლევს.” თავისუფლება მაინც მოქმედებს სამართლიანობის ფარგლებში.⁸³

აქედან გამომდინარე , შეიძლება ვთქვათ რომ კოდექსის 325-ე მუხლში გამოყენებული „სამართლიანობა” ტერმინი მსგავსია „უნიდროას” პრინციპების მე-4 VIII მუხში გამოყენებულ ცნებას ,, კეთილსინდისიერება“. თუმცადა ეს ნორმა უფრო დახვეწილი და ადვილად გასაგებია ვიდრე სსკ-ის 325-ე მუხლში.

ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში, ხშირად გამოიყენება კეთილსინდისიერების პრინციპი როგორც „დამატებითი “ ფუნქცია, კერძოდ მაშინ როდესაც მხარეებმა არ გაითვალისწინეს ხელშეკრულების გარკვეული პირობები. მაგ: როგორებიცაა: ვალდებულება ინფორმაციის გაცემის , სახელმძღვანელო წიგნების მიწოდების შესახებ და ა.შ. კონტრაქტისთვის

⁸³ იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა) , ,, ქართული სამართლის მიმოხილვა “ , სპეციალური გამოცემა , თბილისი, 2007 წ გვ. 23

ნაგულისხმები უნდა იქნეს ისე თითქოს ეს ვალდებულება, მართალია ხელშეკრულებაში გატვალისწინებული არ იყო თუმცა იგულისმებოდა.”⁸⁴

ზემოთქმულიდან გამომდინარე , თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ , რომ ხარვეზის შევსების ფუნქცია ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმადგენს. ეს ფუნქცია როგორც სასამართლოს, ისე მხარეებს უმარტივეს ისეთი მნიშვნელოვანი პირობების დამატებით განსაზღვრას. ეს ფუნქცია გვადლევს საშვალებას ხელშეკრულება უფრო სრულყოფილი გახადოს და ის ხარვეზები შეავსოს რომელიც შეიძლება მხარეებს ხელშეკრულების შედგენის დროს გამორჩეთ.

დამატებითი ვალდებულების დაკისრება - კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე დამატებით ვალდებულებებს მხარეებს აკისრებს სასამართლო . იმისდა მიუხედავად გამოავლენს თუ არა მათ ნებას ამ ვალდებულებების შესრულების თაობაზე. ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული პირობები სავალდებულოა ყველა მონაწილე მხარისათვის. შესაძლოა ხელშეკრულებაში არ იყოს ჩამოყალიბებული ქცევის წესი, მაგრამ ამ მოქმედების შერულების ვალდებულება გამომდინარეობდეს კეთილსინდისიერების პრინციპიდან. ქართული სახელშეკრულებო სამართალი ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს, რომ შეაძლოა უკვე ხელშეკრულების დადების შეთანხმებიდან ან ხელშეკრულების პირობების შესრულების შემდეგაც დაევალოთ გარიგების მხარეებს დამატებითი ვალდებულება.⁸⁵

კეთილსინდისიერების პრინციპი „ ეხმარება სამართალს“ და ავსებს კანონს , სამართლის ნორმის ხარვეზებს , რომლის საფუძველზეც ხდება ხელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარისთვის დამატებითი ვალდებულებების დაკისრება. ⁸⁶

⁸⁴ ოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა) , ,, ქართული სამართლის მიმოხილვა “ , სპეციალური გამოცემა , თბილისი, 2007 წ გვ. 24

⁸⁵ ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული ჟურნალი ,, ცხოვრება და კანონი“ თბილისი . N3 (27) .2014 , გვ 68

⁸⁶ იქვე , გვ 69

კრედიტორმა ხელი არ უნდა შეუშალოს მოვალეს ვალდებულების შესრულებაში, კრედიტორი ვალდებულია თავიდან აიცილოს ყველა ის ფაქტორი რომელიც აძნელებს შესრულებას. უნდა შეუქმნას ისეთი პირობები, რომ შეუფერხებლად შეასრულოს ვალდებულება.⁸⁷

არსებობს ვალდებულებები „ რომლებიც არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე, არამედ ქონების და სახელშეკრულებო მხარეების პიროვნულ ხელშეუხებლობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული“.... რასც ეწოდება ზოგადად ცავლის ვალდებულება.⁸⁸

დაცვის ვალდებულებ არსებობს როგორც მხარეთა შორის ხელშეკრულებების დადების დროს , ისე ხელშეკრულებების დროსაც. დაცვის ვალდებულებას ხელშეკრულების შესრულების შემდგომაც გააჩნია ვალდებულება.⁸⁹

სსკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით , „ვალდებულების შინაარსის მიხედვით შესაძლებელია ყოველ მხარს აკისრებდეს მეორე მხარის მიმართ უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. მისი შინაარსიდან შეიძლება გამომდინარეობდეს თითოეული მხარის ვალდებულება , გაითვალისწინონ მეორე მხარის უფლებები , არამატრიალური სიკეთეები და ინტერესები.⁹⁰ მოცემული მუხლიდან გამომდინარეობს , რომ მხარეებში ერთმანეთის მიმართ უნდა იყვნენ გულისხმიერები . უნდა დაიცვან ერთმანეთს ინტერესები. პატივი სცენ ერთმანეთს და იმოქმედონ კეთილსინდისიერების ფარლებში.

ქართული კანონმდებლობიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ლოიალურობის (იგივე რაც ერთგულება) ვალდებულებას უფრო ფართო ფუნქცია და უფრო ფართო შინაარსი აქვს , ვიდრე კეთილსინდისიერებიდან გამომდინარე დამატებით ვალდებულებებს. ლოიალურობის ვალდებულება არარის რაიმე სხვა

⁸⁷ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 84

⁸⁸ იქვე გვ. 84

⁸⁹ იქვე . გვ 84

⁹⁰ იქვე. გვ 85

დამოუკიდებელი ვალდებულება, ის კეთილსინდისიერად მოქმედების ზოგად ვალდებულებას წარმოადგენს. რის გამოც მას შესაძლებელია ეწოდოს მთავარი ვალდებულებაც. მხარეებმა ვალდებულება ჯეროვნად უნდა შეასრულონ. მათ ხელი უნდა შეუწყონ იმგვარი ქმედებებით რაც ხელის შემყოფი იქნება შესრულებისთვის და ზიან არ მოუტანს მას.⁹¹

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე , პირს შეიძლება დაეკისროს ნივთის შენახვის ვალდებულებაც, შესაბამისად დადებულად შეიძლება ჩაითვალოს მიბარების ხელშეკრულება. : მაგ მოვალესთან იმყოფება საქონელი , რომელიც სხვა პირებს არ უნდა გადაეცეს. ასეთ დროს მოვალეს ეკისრება გარიგების საგნის შენახვის ვალდებულება , იმ შემთხვევაშიც როდესაც , თუნდაც კრედიტორი აგვიანებდეს საქონლის მიღებას. თუ კრედიტორმა ვადას გადააცილა მოვალე არ თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისგან.⁹²

მხოლოდ მოვალეს არ აკისრია ვალდებულების ერთგულად შესრულების ვალდებულება , კრედიტორმაც უნდა შეასრულოს ვალდებულება ერთგულად. მას არ აქვს უფლება უსაფუძვლოდ თქვას უარი მოვალისგან შესრულების მიღებაზე. მაგალითად: არაკეთილსინდისიერად მოქმედებს ბინის გამქირავებელი , რომელიც ტყუის რომ საკუთარი საჭიროებისდაგამო წყვეტს ამ ბინის ქირავნობის ხელშეკრულებას.⁹³

დამატებითი ვალდებულებების ფუნქცია მოაზრებს შემდეგს, რომ თუ მხარეები მთავარი დამატებითი ვალდებულების შინაარს არღვევს , არღვევს ძირითად ვალდებულებასაც. თუ მხარეებს სურს , რომ ხელშეკრულება ჯეროვნად შესრულდეს, მაშინ უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად. აქედან გამომდინარე დამატებით ვალდებულების შესრულება დაკავშირებულია მთავარ ვალდებულებასთან და მას მთავარი როლი აკისრია ხელშეკრულებაში.

⁹¹ ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო- პრაქტიკული ჟურნალი ,, ცხოვრება და კანონი“ თბილისი . N3 (27) .2014 , გვ 71

⁹² იქვე. გვ 71

⁹³ იქვე გვ 72

გამაუქმებელი, შეზღუდვა და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია - შინაარსობრივად კარგად გამოვლენილი სსკ -ის 346-ე მუხლით: „ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ სზიანთა ხელშეკრულების მეორე მხარისთვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები , რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი , მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.“⁹⁴

კეთილსინდისიერების ფუნქციის „ გამაუქმებელი“ ფუნქციის მნიშვნელობა გამოიხატება არა მარტო იმით რომ შეზღუდოს ან გააუქმოს ხელსეკრულების რომელიმე პირობა , არამედ ასევე სასამართლოების მხრიდან იგნონირებული იყოს კანონის ნორმა , მათ შორის იმპერატიული ნორმის მოქმედება. ამრიგად კეთილსინდისიერების ტესტი უნდა გაიაროს ყველა იმ ნორმამ რომელიც მიღებული იქნა მხარეთა თუ სასამართლოს მიერ. ⁹⁵

აქედან გამომდინარე , კეთილსინდისიერების ფუნქციის მაკორექტირებელი ფუნქცია თუ აშკარა უსამართლობას აქვს ადგილი მხარესათვის და ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ამ ხელშეკრულების არსებობა.

ყველაზე ნათლად ვლინდება კეთილსინდისიერების „მაკორექტირებელი“ ფუნქცია ოერტმანის გარიგების საფუძვლის თეორიაში (Geschäftsgrundlage) . ამ პრინციპის თანახმად, მისი ნამდვილობა დამოკიდებულია იმ გარემოებათა შეუცვლელობაზე, რომლებში დაიდო ხელშეკრულება. ამ თეორიის მიხედვით , თუ არ გამართლდა მხარეთა მოლოდინები , წარმოდგენები და ვარაუდები, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში არსებობდა, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია. ამ დოქტრინის მიზანია მოაწესრიგოს სახელშეკრულებო ურთიერთობები .⁹⁶

⁹⁴ იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007, გვ.26

⁹⁵ იქვე , გვ 26

⁹⁶ იქვე , გვ 26

ცნობილი გერმანელი იურისტები: ცვაიგერი და კოტცი, ოერტმანის თეორიას მიუღებლად მიიჩნევდნენ, იმ შემთხვევაში, როდესაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ცვლილებები აღინიშნებოდა და გონივრულად მოქმედი მხარეებისთვის ხელშეკრულების დადებისას შეუზღებელი იყო აღნიშნულის გათვალისწინება. თავდაპირველი მდგომარეობის შენაჩუნება მათ თავისთავად ნავარაუდევად მიაჩნდათ, და აქედან გამომდინარე არ საჭიროებდა სამომავლო განვითარების პროგნოზირებას. ოერტმანის ანალოგი თეორიები პრაქტიკულად ისე ეხმარება სასამართლოს, რამდენადაც საშვალეებს აძლევს მას, თავისი მართლაც ავტორიტეტული მოსაზრებები სიტყვათა სამოსსი გაახვიოს.⁹⁷

კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება ასევე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების განხორციელების ფარგლების შესაზღუდად. მოცემულ შემთხვევაში, გერმანული სამართალი იყენებს ისეთ კატეგორიებს, როგორც არის *unzulässige Rechtsausübung* (უფლების დაუშვებელი ანუ კანონსაწინააღმდეგო განხორციელება) და *Rechtsmißbrauch* (უფლების ბოროტად გამოყენება).⁹⁸

როგორც ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშია აღნიშნული, უფლებათა შეზღუდვის ფუნქცია ხორციელდება ერთი შეხედვით სსკ-ის 115 - ე მუხლის , ხოლო მეორე შემთხვევაში სსკ-ის 361- ე მუხლის უშუალო გამოყენებით, რის დასაბუთებაც ორივე შემთხვევაში სსკ-ის მე- 8 მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეიძლება. როგორც „ შემაკავებელი ფუნქცია „ მასეც მოიხსენიება შეზღუდვის ფუნქცია.⁹⁹

შეზღუდვის პრინციპის არსებობით , სასამართლოს შეუძლია მხარესათვის მოთხოვნის უფლება გააუქმოს, თუ გამოირკვა, რომ იგი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს და დარღვეულია კეთილსინდისიერების პრინციპი. მისი არსებობა, ამ სამართლებრივი ნორმების არსებობა როგორც ჩანს მნიშვნელოვანია, რადგან

⁹⁷ იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, თბილისი, 2007, გვ.27

⁹⁸ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 91

⁹⁹ იქვე , გვ 91

ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შეზღუდვა, იზღუდება უფლების შინაარსი.

შეზღუდვის ფუნქცია მოქმედებს როგორც მოვალის, ისე კრედიტორის მიმართაც. კრედიტორს, როგორც ხელშეკრულების კეთილსინდისიერ მხარეს შეუძლია მხოლოდ კეთილსინდისიერების ფარგლებში დააყენოს მოთხოვნა. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ლოიალურების ვალდებულება „ უკრძალავს მხარეს ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავიანთი სახელშეკრულებო უფლებები მაშინაც კი ბოლომდე გამოიყენონ, როდესაც ამ მოთხოვნის უკან აღარ დგას რეალურად ფასეული ინტერესი.“¹⁰⁰

მხარეებს კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულება ეკისრებათ ერთმანეთის ინტერესები გაითვლინონ. თუ გამოვლენილი იქნა ისეთი შემთხვევა როდესაც მოხდა ურთიერთგათვალისწინების ვალდებულების დარღვევა, უფლების განზრახვა კვალიფიცირდება როგორც ბოროტ განზრახვად.¹⁰¹

უფლების ბოროტად გამოყენების კატეგორიას და კეთილსინდისიერების პრინციპსაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც იცნობს ამიტომ „ მოსამართლეს თავად შეუძლია, კონკრეტული შემთხვევის თავისებურებიდან გამომდინარე, გადაწყვიტოს, თუ რომელი პრინციპის საფუძველზე უნდა შეზღუდოს უფლების გამოყენება“.¹⁰²

ნდობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაშიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შეზღუდვის ფუნქცია. ანუ, როდესაც მხარე მოქმედებს მის მიერ მანამდე განხორციელებული ქცევის საწინააღმდეგოდ. მაგ: კრედიტორს არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლება ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისთვის, თუ

¹⁰⁰ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ. 92

¹⁰¹ იქვე, გვ 93

¹⁰² ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1, გვ 46

მან მანამდე მოვალეს შეუქმნა იმის ნდობა , რომ იგი ვადის გადაცილებას ნეგატიურ სამართლებრივ შედეგებს არ დაუკავშირებდა.¹⁰³

კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს დამაკორექტირებელი ფუნქცია, ვალდებულებათა დაკონკრეტების მიზნით გამოიყენება სსკ-ის 361-ე მუხლი, რომელიც აკონკრეტებს, თუ როგო რუნდა შესრულდეს ვალდებულება. ეს ვალდებულება მოქმედებს ორივე მხრის, როგორც კრედიტორის ასევე მოვალის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები არ შეთანხმებულან ვალდებულების შესრულების ზუსტ ვადაზე , მაშინ ვალდებულება უნდა შესრულდეს გონივრულ დროში.¹⁰⁴

4.2 კერძო ავტონომიის როლი და ხელშეკრულების თავისუფლება კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებაში.

კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კერძო ავტონომია. აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით ხორციელდება ყველა სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობა. მაგ: საკუთრების უფლების რეალიზაციის შემთხვევაში, მესაკუთრე თავად გადაწყვეტს , ამ კონკრეტულ ობიექტზე შესაბამისი ქცევის წესები.¹⁰⁵

პირველად მე-19 საუკუნეში გამოჩნდა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში. რომელიც 1134-ე მუხლის თანახმად , „კანონიერად დადებული ხელშეკრულებები იკავებენ კანონის ადგილს იმათთვის, ვინც ისინი დადო“. ხელშეკრულების თავისუფლებით სახელშეკრულებო მხარეებს სამართლებრივ ურთიერთობის დროს ენიჭებათ მაქსიმალური თავისუფლება, აქედან გამომდინარე სახელმწიფო თითქმის არ

¹⁰³ ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“ N3(27),თბილისი, 2014, გვ.78

¹⁰⁴ ვაშაკიძე გ. კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1, გვ16

¹⁰⁵ ჯორბენაძე ს, ,, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში “ თბილისი 2017, გვ 62

ერევა მათ საქმიანობებში¹⁰⁶.

მხარეთა ავტონომიური ნება , გარკვეული პერიოდი ხელშეკრულების თავისუფლების ხელშეუხებელ სფეროდ ითვებოდა, სასამართლოებმა დაიწყეს ჩარევა სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ისინი, აუქმებდნენ და ბათილად მიიჩნევდნენ ისეთ ხელშეკრულებებს , რომლებიც მხარეების მიერ თავისუფლების პრინციპით იყო დადებული და მათი გადმოსახედიდან უსამართლონი იყვნენ.¹⁰⁷

აქედან გამომდინარე , სასამართლოებმა ნელ-ნელა დაიწყეს მხარეთ ნების ავტონომიის შეზღუდვა , თითქოსდა არ იყო სამართლიანად დადებული და ეწინააღმდეგებოდა კეთილსინდისიერების პრინციპს. ერთი მხრივ, კანონი სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეს „ნებას“ აძლევს , თავად განსაზღვროს სახელშეკრულებო პირობები და თავს შორს იჭერს ამ ყველფრისგან , მაგრამ მეორეს მხრივ თუ საჭიროდ ჩათვალა უზღუდავს ამ თავისუფლებას. ანუ მხარეთა ნების თავისუფლების ავტონომიას ბოჭავს და არ აძლევს სრულ თავისუფლებას.

სახელმწიფო ხელშეკრულების ხელშემკვერლ პირებს მათთვის სასურველი პირობის სამართლებრივად განსაზღვრის უფლებას ანიჭებს.¹⁰⁸ ეს წინადადება ჩემი აზრით , მართებული არ არის რადგან , სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში თუ ის ამ პირობებს არ მიიჩნევს სამართლიანად.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის პერიოდში ინდივიდის ნების ავტონომიის გამოყენება სხვა პირის (პირის ნების) შესატყვისი ნებითაა უზრუნველყოფილი. ნების ავტონომია წარმოადგენს კერძო ავტონომიის

¹⁰⁶ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 , გვ 106

¹⁰⁷ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ 106

¹⁰⁸ ჯორბენაძე ს, ,, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში “ თბილისი 2017, გვ 62

გამოვლინებას. აღნიშნული მოიცავს, მხარეების უფლებამოსილებას , განახორციელონ ნებისმიერი საქმიანობა რაც კანონით არაა აკრძალული და დადონ შესაბამისი გარიგებები. სახელშეკრულებო ურთიერთობისას შებოჭვა ხდება არ ხდება მხოლოდ ერთი პირის მიმართ არამედ სხვა პირის შესატყვისი შეზღუდვითაც.¹⁰⁹

არის მოაზრება ,რომ საკუთარ ნებაზე დაფუძნებული ბოჭვა პირის თავისუფლად მოქმედების განხორციელების შემდეგ წარმოადგენს. ამ საფუძვლით პირს აკისრია გარკვეული სახის ვალდებულებები , რომლითაც პასუხისმგებლობა ეკისრება, ანუ თავად იბოჭავს საკუთარ თავს რათა გარკვეული მოქმედებები პასუხისმგებლობით შეარულოს.¹¹⁰ პირი, როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულებებს იღებს, მოქმედებს თავისუფალი ნების ავტონომიით და თავად განაზღვრავს გარკვეულ სახის ვალდებულებებს, როგორც ჩანს მაინც სრული თავისუფლებით ვერ სარგებლობს.

ყველა ადამიანი, ვინც არ უნდა იყო და რა ასაკიც არ უნდა იყო იგი, ვერ გაექცევა სახელშეკრულებო ურთიერთობაში მონაწილეობას, ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე ყოველთვის იქნება , რაღაც პერიოდი შებოჭილი იქნება კონკრეტულ ასპექტში.¹¹¹

ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვას, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე , დაუკავშირეს ეკონომიკურ ფაქტორებს. ხელშეკრულების შესრულება იწვევდა ეკონომიკურ ცვლილებას. ვილფრედ პარეტომ წამოაყენა ეკონომიკური ცვლილებების ეფექტიანობის კრიტერიუმები. პარეტოს წინადადებით ეფექტიან ცვლილებად , მიიჩნეოდა თუ არ მოხდებოდა ერთი სუბიექტის გაუმჯობესება, არცერთ სხვა სუბიექტის მდგომარეობის

¹⁰⁹ იქვე, გვ 63

¹¹⁰ ჯორბენაძე ს, ,, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში “ თბილისი 2017, , გვ 64

¹¹¹ იქვე , გვ 64

გაუარესების ხარჯზე.¹¹²

სახელშეკრულებო ურთიერთობებში ჩარევა, პარეტოს კრიტერიუმების საფუძველზე , ხორციელდებოდა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე.¹¹³

სახელშეკრულებო სამართალი , ხელმძღვანელობს იმ ძირითადი იდეით, რომ სახელშეკრულებო მხარეებს, მონაწილე პირების ნების თავისუფალი გამოხატვის საშვალეა ეძლევათ. მართებულია ის მოსაზრება, რომ „ ხელშეკრულების თავისუფლება არასდროს ყოფილა შეუზღუდავი“. სამართალშემფარდებელი ვალდებულია კანონი ისე გამარტოს და გამოიყენოს , როგორ ამას კეთილსინდისიერაბ მოითხოვს და როგორც ამას კანონმდებელი გააკეთებდა, აღნიშნული შემთხვევა რომ გაეთვალისიწნებინა, ან ნორმა რომ დაეზუსტებინა. აქედან გამომდინარე ხშირად , კეთილსინდისიერების პრინციპი ,ნების ავტონომიის პრინციპსა და კანონის სიტყვასიტყვით ნებას უპირისპირდება და ზრუდავს მას.¹¹⁴

კეთილსინდისიერების პრინციპი ნორმატიულად განამტკიცებს და საშვალეას გვაძლევს სამართლის სუბიექტებს დავუდგინოთ ქცევის ფარგლები, ასევე გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის ღონისძიებები და დაცული იქნეს სამართლებრივი ღონისძიებები, რათა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები მიერ არ მოხდეს არაკეთილსინდისიერდ მოქცევა. კეთილსინდისიერების მოთხოვნა არაა აბსოლიტური უპირატესობა სახელშეკრულებო თავისუფლების მიმართ.¹¹⁵

როდესაც ხდება კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება, შესაძლებელია კითხვა გაჩნდეს, რომ წინააღმდეგობაში ხომ არ მოდის მხარეთა ნების

¹¹² ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ 107

¹¹³ იქვე გვ 107

¹¹⁴ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ 108

¹¹⁵ იქვე გვ 109

ავტონომიის პრინციპთან , ხელსეკრულების თავისუფლების პრინციპის და სხვა სამოქალაქო სამართლის სხვ ფუძემდებლურ პრინციპებთან.¹¹⁶

სახელშეკრულებო სამართალი გარკვეულ სახის ღირებულებებზეა აგებული. წინა საუკუნეებიდან მოყოლებული დიდი ყურადღება ეთმობოდა შრომით ურთიერთობებს, მომხმარებლებს, რამაც განაპირობა სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მოქმედების შეზღუდვა. სუსტი მხარის დაცვა სახელშეკრულებო ურთიერთობების შამოყალიბების საფუძველია. აქედან გამომდინარე არ მიიჩნევენ , რომ კეთილსინდისიერების პრინციპმა შეიძლება დაარღვიოს სხვა უნმიშვნელოვანესი პრინციპები , კონკრეტულად კი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპები და მხარეთა ნების ავტონომია. ¹¹⁷ ჩემი აზრით , საკმარისად დასაბუთებული არაა ეს მოსაზრება , რადგან შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებისთვის ის კონკრეტული პირობა მისაღები იყოს მათთვის , მაგრამ სახელმწიფო ჩაერიოს და შეუზღუდოს ის უფლება და თავისუფლება რაც მას გააჩნია.

მიუხედავად იმისა , რომ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია სამოქალაქო სამართალში ის მაინც იზრდება. ეს შეზღუდვები ეხლაბა , როგორც ხელშეკრულების დადებას , ისე მისი შინაარსის განსაზღვრასაც. სამოქალაქო სამართალი ნების ავტონომიისა და სახელშეკრულებო თავისუფლების აღიარებით უზრუნველყოფს პირის უფლებას, თავის ნების შესაბამისად იმოქმედოს და მიაღწიოს დასახულ მიზანს. მაგრამ ეს თავისუფლებ არ უნდა იყოს აბსურდული. შეუზღუდავმა თავისუფლებამ შეიძლება მხარეთა თვითნებობა გამოიწვიოს. შესაძლებელია მხარეს, რომელსაც მეტი ეკონომიკური რესურსი და ძალაუფლება აქვს , აიძულოს მომავალ კონტრაქტს ხელშეკრულების შინაარში პასიური როლი შეასრულოს და არათანაბარ სიტუაციაში ამყოფოს, ამით კი ის მეტ სარგებელს მიიღებს. შედეგი დადგება სახელშეკრულებო უსამართლობა. ამავდროულად შესაძლებელია ხელშეკრულების

¹¹⁶ იქვე , გვ 109

¹¹⁷ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ 109

თავისუფლების შეზღუდობამ საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს და საზოგადოებას მათ ინტერესებს. ამიტომ აუცილებლად მიაჩნიათ ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა, რათა დაიცვან საჯარო ინტერესები, სუსტი მხარის დაცვა, თავისუფალი საქმიანობის უსაფრთხოება და სამართლიანობის მიღწევა სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს.¹¹⁸

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩემი აზრით სახელმწიფომ, მაინც მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს შეზღუდვის ფარგლები. მართალია, ის იცავს სუსტი მხარის ინტერესებს, მაგრამ შესაძლებელია მას საერთოდ არ მიაჩნია არასამართლიანად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, საერთოდაც შესაზღებელია ამ შეზღუდვებმა შეიძლება ზიანი მიაყენოს მას.

მართალია პრაქტიკაში კეთილსინდისიერების პრინციპის აუცილებლობას ხსნიან შემდეგნაირად, „სამოქალაო კოდექსი უზრუნველყოფს რა მხარეთა ნებას ხელშეკრულების შინაარსის თვისუფლად განსაზღვრაში, ამასთანავე, თვითნებობის უფლებას მხარეებს არ აძლევს და ხელშეკრულების თავისუფლება სახელშეკრულებო სამართლიანობის ფარგლებში უნდა განხორციელდეს“ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებაშია განმარტებული საქმეზე Nას-7-362-07.

როდესაც, კეთილსინდისიერების პრინციპის პრაქტიკაში გამოყენებაზეა საუბარი, ბრაუნსფორდი აღნიშნავდა, რომ ზრუდავს და ხელყოფს ხელშეკრულების თავისუფლების ფილოსოფია, როდესაც ხელშეკრულების მხარეებისგან მოითხოვება ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინება. ასევე, კაპუანო აღნიშნავდა, რომ აუცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს „ხელშეკრულების თავისუფლებასა და კეთილსინდისიერების და სამართლიანობის შორის ბალანსი“.¹¹⁹

ეს მიდგომები სავსებით მისაღებია, რადგან არ უნდა მოხდეს ერთი პრინციპით

¹¹⁸ <http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/ზოგადი-ნაწილი/კარი-პირველი/თავი-პირველი/მუხლი-319/>

¹¹⁹ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ 110

მეორეს შეზღუდვა და მათ შორის გარკვეული სახის ბალანსი უნდა არსებდეს.

კონტინენტურ სისტემის წარმომადგენლებს დისტანცია ეჭირათ ამ საკითხთან დაკავშირებით. ცვაიგერტი და კოტცი მიიჩნევდნენ, რომ სასამართლოებს უფლება ქონდათ გაეუქმებინათ ყველა ხელშეკრულება რომელი „არაკეთილსინდისიერ“ „არასამართლიან“ პირობებში ამყოფებდა ერთ-ერთ მხარეს მაინც და კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ იმოქმედებდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ხელშეკრულების თავისუფლება ყველა შემთხვევაში უნდა შეიზღუდოს, თუ ეკონომიკური უპირატესობიდან გამომდინარე მეორე მხარეს ისეთ პირობებს შესთავაზებს სადაც უთანასწორო მდგომარეობა იქნება.¹²⁰

როდესაც არჩევნის საშვალეზას გვაქვს, თავისუფლების პრინციპი თუ კეთილსინდისიერების პრინციპი, რატომღაც უპირატესობა კეთილსინდისიერების პრინციპს ენიჭება. კეთილსინდისიერების პრინციპს, შეუძლია დააბალანსოს სახელშეკრულებო მხარეთა შორის უფლება-მოვალეობები. ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილით „კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართლის აღიარებული ზოგადი დათქმაა, რომელის სამოქალაქო კანონმდებლობითაა დამტკიცებული. კეთილსინდისიერი ქცევა მხარეებს ერთმანეთის უფლებებისადმი გულისხმიერებას და პატივისცემას მოიცავს. მისი ფუნქციაა ზირითადად სამართლიანი შედეგების დადგმა ადამავე დროს, უსამართლო შედეგები თავიდან აცილება, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობას და სიმყარეს.¹²¹

ამგვარი მდიგომა არ გამორიცხავს და არ უარყოფს ხელშეკრულები თავისუფლების არსებობას და მხარის მიერ თავისი ინტერესების განხორციელებას. კეთილსინდისიერების პრინციპი მოითხოვს მხარემ

¹²⁰ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ 111

¹²¹ საქაეთველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-224-1076-2010

ვალდებულება შეარულოს იმ მოლოდინის შესაბამისად, რომელიც მეორე მხარეს აქვს. ასევე არცებობს შემთხვევები, როდესაც მხარეს უფლება აქვს მხოლოდ თავისი ინტერესებით განახორციელოს ისე რომ არ დაარღვიოს კეთილსინდისიერების პრინციპი.¹²²

კეთილსინდისიერების დოქტრინა მოიცავს ისეთ გარანტიებს, რომლებიც იცავენ ხელშეკრულების სუსტ მხარეს და უფლებას არ აძლევს ძლიერ მხარეს, რომ თავისი უპირატესობა გამოიყენოს სუსტის „დასაჩაგრად“. ასევე, როდესაც ხელშეკრულების დადება ხდება ეს არ უნდა იყოს მოჩვენებითი, უნდა გამოხატავდეს მონაწილე მხარეების მკაფიო ნებას.¹²³

თავის მხრივ, ცალკეულ ურთიერთობებში კეთილსინდისიერების პრინციპს ეფუძნება კერძო ავტონომიას, რომელშიც შეიძლება მორალი და ეთიკაც იქნეს განსაზღვრული. თუ კერძო ავტონომიის ფარგლები კეთილსინდისიერებაზე, მორალზე და ეთიკაზე გადის, ხელშეკრულების თავისუფლებაც უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ დანაწესებს.¹²⁴

¹²² ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ 112

¹²³ ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016 გვ 112

¹²⁴ ჯორბენაძე ს, „ ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში “ თბილისი 2017, , გვ 65

თავი 5. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

ზემოთქმულის უკეთ გასაგებად თუ რას წარმოადგენს სამართლებრივად კეთილსინდისიერების პრინციპი უმჯობესი იქნება განვიხილოთ უზენაესი სასამართლო ერთ-ერთი გადაწყვეტილება.

მოცემული სასამართლო დავას წარმოადგენს ზიანის ანაზღაურება. შევეცდები მოკლედ გადმოვცე დავის შინაარსი.

აღწერილობითი ნაწილი:

შ. და მ.ხ -ებმა სარჩელი აღძრეს თბილისის სამოქალაქო სასამართლოში მოპასუხე სს „ს ბ-სა და ინდივიდუალური მეწარმე შ . ხ შორის გაფორმდა ხელშეკრულება „ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ „ საკრედიტო ხელშეკრულება „ N 508935-8111132, რომლის საფუძველზე კლიენტზე გაიცა კრედიტი 375 000 აშშ დოლარი, 50 თვის ვადით. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად იპოთეკიტ დაიტვირთა : ქ თბილისში, - ის ქუჩა N 10 -ში მდებარე N88 ბინა , ფართით 107.77 კვ.მ (ს.კ) , რომელზეც რეგისტრირებული იყო შ. ხ -ს საკუთრების უფლება , აგრეთვე , ქ უთაიში , კ. გ-ს N5 -ში მდებარე N2 ნაკვეთი , ფართით 537 კვ.მ (ს.კ) რომელზეც რეგისტრირებული იყო მ.ხ-ის საკუთრების უფლება . 2011 წლისათვის ინდ. მეწარმე შ . ხ-ს დავალიანებამ სს „ს ბ -ის “ მიმართ შეადგინა 308 000 ლარუ. აღნიშნული ვალდებულების რეფინანსირების მიზნით მოსარჩელემ დახმარება სთხოვა სს „ ქ ბ-ს “ , რომელმაც თანხმობა გამოთქვა გადაეფარა 2010 წლის 16 დეკემბრის „ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ” N508935 ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინდივიდუალური მეწარმის შ. ხ-ის დავალიანება.

2012 წლის 29 ივნისს სს „ ბ-ს “ წარედგინა სს „ბ ქ-ს” საგარანტიო წერილი , რომლის თანახმადაც სს „ბ . ქ-უ” კისრულობდა ვალდებულებას უზრუნველყოფილი საგნების (იპოთეკით დატვირთული ქონების) მეორადი იპოთეკით დატვირთვის შემდეგ ინდ. მეწარმე შ. ხ-ის დავალიანება დაფარვის

შესახებ.

მიუხედავად ზემოაღნიშნული საგარანტიო ერილისა, სს „ს ქ-ის“ მიერ არ იქნა მიწოდებული რეკვიზიტები, რომელზეც უნდა ჩარიცხულიყო სს, „ბ ქ-დან“ თანხა და ამასტანავე, 2012 წლის 26 სექტემბერს სს, ს.ბ-ს „განცხადებით დიწყო სააღსრულებლო წარმოება და იპოთეკით დატვირთული ონება იძულებით აღსრულებითი აუქციონის მეშვეობით შეძენილ იქნა სს, ს. ბ-ის“ მიერ, კერძოდ, მ.ხ-ის კუთვნილი უძრავი ნივთი შესყიდულ იქნა 486 600 ლარად (საიდანაც, 74 227 ლარი იყო დამატებითი ღირებულების გადასახადი) მაშინ, როდესაც სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შეფასების სამსახურის მიერ მითითებული ქონება შეფასდა 983 00 აშშ დოლარად. ანალოგიურად გასხვისდა ბანკზე შ.-ის საკუთრებასი არსებული ქონებაც, რომელიც შეფასებული იყო 174 000 ლარად და შეძენილ იქნა 127 020 ლარად.

მოსარჩელების მოსაზრებით, სს, ს. ბ-მა“ სს „ბ.ქ-ისგან“ არ მიიღო ვალდებულების შესრულება და ბოროტად გამოიყენა მის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება, რითაც შ. ხ-სა და მ.ხ-ს მიადგა ზიანი.

მოსარჩელების მითითებით სს, ბ. ქ-სგან“ ვალდებულების შესრულების მიღებისა და აუციონზე ქონების გაყიდვისგან თავის შეკავების შემთხვევაში, ზიანი არ დადგებოდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და წარდენილ შესაგებელში განმარტა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია განაპირობა მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევამ და სესხის გადაუხდელობამ, რაც გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლიტ გათვალისწინებულ ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოებების არსებობას.

ამასთან, მოპასუხის მიტითებით, ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით

ნაკისირი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკიტ დატვირთული უზრავი ქონების აუქციონზე რეალიზაცია მიზნად ისახავდა მხოლოს ბ-ის კანონიერი ინტერეების დადცას, დასტურდება 2013 წლის 12 თებერვლის ნასყიდობის ხელშეკრულებით ინდივიდუალურ მეწარმე შ ხ- სათვის აუქციონის ფასად 4866000 ლარად უძრავი ქონების უკან დაბრუნების.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შ. და მ. ხ-ების სარჩელი არ დკმაყოფილდა . გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინეს შ . და მ. ხ -ებმა და მოითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეტა პალატის 2014 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით შ. და მ. ხ-ების სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა . უცვლელად დარჩა მოცმულ სმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაყვეტილება.

უფრო ვრცლად იხ. სასამართლო გადაწყვეტილება (№ას-1338-1376-2014).¹²⁵

ახლა კი განვავრდოთ სააკასაციო სასამართლოს მიერ მიღებული და დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

საქართველოს უზენაები სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 9 თებერვლის განჩინებით შ. და მ. ხ-ების საკაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე და 391-ე მუხლების შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად , ხოლო 2015 წლის 23 თებერვლის განჩინებით საკასაციო სარჩივარი ცნობილ ინა დასაშვებად.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული

¹²⁵ <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საფუძვლები, განცხადება სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის შემცირების შესახებ და მიიჩნევს, რომ განცხადება სასაჩელო მოთხოვნის შემცირების შესახებ უნდა დარჩეს განუხილველი, ხოლო საკასაციო საჩვარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, შემდეგი გარემოებათა გამო:

1) სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება არ ითვლება არ ითველბა სარჩელი შეცვლად და, შესაბამისად, დასაშვებია სასამართლო განხილვის ნებიმიერ ეტაპზე, მაშინ როცა, სარჩელის საფუძვლის შეცვლა დასაშვებია საქმის წინასწარი განხილვის დასრულებამდე, ხოლო დასრულების შემდეგ, დაიშვება მხოლოდ მოპასუხის თანხმობით. (უფრო დეტალურად განხილურლი გარემოებები იხილეთ სასამართლო გადაწყვეტილებაში)

ამ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნისვნელოვნი განმარტება გააკეთა კრედიტორსა და მოვალის ურთიერთობებში კეტილსინდისიერებისა და გულისხმიერების მოვალეობის დარღვევის შედეგად კრედიტორის მიერ უფლების ბოროტად გამოენების თაობაზე.

საკასაციო სასამაღტლოს მსჯელობის საგანი იყო, ბოროტად გამოიყენა თუ არა კრედიტორმა (კომერციულმა ბანკმა) სესხის ხელშეკრულებით მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული ონების რეალიზაციის უფლება მესამე პირისგან (სხვა კომეციული ბანკისგან) აღნიშნული ვალდებულების შესრულების შეთავაზების უპასუხოდ დატოვებით, რითაც მოსარჩელეს მიადგა მნიშვნელოვანი ქონებრივი დანაკლისი.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კრედიტორის (ბანკის) ქმედების მართლზმიერების შეგასების გზამკვლევი წარმოადგენს იმ ალტერნატივის შეფასებას, რაც მესამე პირის (სხვა ბანკის) წერილით ინ შეთავაზებული კრედიტორისათვის. პირველ რიგში უნდა გარკვეულიყო კრედიტორისთვის მიწოდებულ სეტვაზების მიზნობრიობა და რეალურობა, გამომიდნარე იქიდან, რომ ხელშემკვრელ მხარეთა შორის, მით უფრო, საკრედიტო დაწესებულებასა და

კლიენტს შორის ვალდებულებით-სამართლებივი ურთიერთობის დამყარება ყოველთვის უკავსირდება პრეზუმციას , რომ ვალდებულება შესრულდა დადგენილი წესის დაცვით.

მოცემულ შემთხვევაში , საკრედიტო დაწესებულება , რომლისგანაც მიიღო კრედიტორმა შეთავაზება ვალდებულების შესრულების შესახებ , წარმოადგენდა ქართულ საკრედიტო სივრცეში დამკვიდრებულ, რენომიებულ იურიდიულ პირს და არა გაურკვეველი რეპუტაციის მქონე პირს, რომლის წინადადებაც , შესაძლოა , აღქმულიყო ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციისათვის ხელშეშლის ანდა აღსრულების გაჭიანურების მცდელობად; ხოლო რაც შეეხება თავად შეთავაზების წერილს, მისი შინაარსით ერთმნიშვნელოვნად ვლინდებოდა ერთი საკრედიტო დაწესებულების მზადყოფნა სრულად დაფარულიყო მეორე საკრედიტო დასესებულების მიმარ არსებული მოვალის დავალიანება. ამრიგად შეთავაზება იყო რეალური და კონკრეტული მიზნის მქონე, კერძოდ მიზნად ისახავდა ბანკის წინაშე მოვალის ფულადი ვალდებულების შესრულებას და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თავიდან აცილებას.

საკასაციომ განმარტა , რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციდ განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის , ფლოსოფიის და ბიზნესის ერთ- ერთი ფუძემდებლური პრინციპია.

კეთილსინდისიერებ გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით და ერთმანეთის უფლებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის სფუძველზე აღმოიფხვრა როგორც კანონის , ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა იმით გამოიხატება , რომ მხარეს , გარდა ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისა , ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაქტის პატივისცემა ინტერესების გათვალისწინება და დაცვა . ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულები

ვალდებულების შესრულების პროცეში , არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებებათა ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შესაძლებელია პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველიც გახდეს.

კეტილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარეობს , რომ ნებისმიერი ვალდებულებითი-სამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელსეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისათვის.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, კეტილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე , ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება , მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენა (სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად) საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ისეთ პირობებში, როდესაც კრედიტორი ქონების აუქციონზე რეალიზაციის განმაპირობებელ გარემოებად მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევასა და შესაბამისად, სესხის გადაუხდელობას მიიჩნევს, ხოლო თავის მხრივ, მოვალე კრედიტორის ამ გადაწყვეტილებით მიღებულ ზიანზე აპელირებს, სასამართლოს შეფასების საგანია იყო თუ არა კონკრეტულ სიტუაციაში კრედიტორის ქმედება ნაკარნახევი ობიექტური აუცილებლობით და თუ არა იყო , მიადგა თუ არა ზიანი მოვალეს კრედიტორის ამგვარი ქმედებით.

საკასაციო პალატის განმარტებით, სადავო არ არის , რომ საკრედიტო ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაირღვა , ხოლო ბანკის მოლოდინი ხელსეკრულების გაფორმების მიმართ მდგომარეობდა მის ჯეროვან შესრულებაში, თუ,ცა საქმის გარემოებათა ერთობლიობაში შეფასებით ბანკის ქმედება ვერ იქნება მიჩნეული კეტილსინდისიერ ქმედებას, რამეთუ ბანკის ინტერესი, მ კონრეტულ შემთხვევაში , ფულადუ ვალდებულების შესრულებაში მდგომარეობდა და , იმ

პირობებში , როდესაც ფულადი ვალდებულების შესრულების შესახებ მას წერილობით მიეწოდა შეთავაზება , იმის მიუხედავად, იქმებოდა იგი წარმოდგენილი საბანკო გარანტიის თუ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა ფორმით, ბანკს , როგორც საკრედიტო დაწესებულებას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე , ევალეზოდ გულისხმიერი დმოკუდებულება გამოეიჩინა და საბანკო დავალიანების დაფარვის რამოდენიმე ვარიანტიდან ამოერჩია ყველზე ხელსაყრელიდა, ამავდროულად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე , ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

შეთავაზების წერილი, მართალია, პირდაპირ არ ავალდებულებდ ბანკს შეეწყიტა მოვალის მიერ საკრედიტო ვალდებულებების დარღვევის გამო დაწყებული , კანონითა და მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული საადსრულებლო პროცედურები, თუმცა მოცემულ შემთცევაში საკრედიტო დაწესებულების მართლზომიერი ქცევის განმსაზღვრელი იყო სახელსეკრულებო ურთიერთობის მონაწილის კეთილსინდისიერების ვალდებულება და არა მარტოდენ იპოთეკით დატვურთული უძრავი ქონების რეალიზაციის უფლება. მით უფრო , რომ იპოთეკის საგნების რეალიზაციით მოთხოვნის დკმაყოფილების მიმართ კრედიტორის უპირატესი ინტერესი გამოკვეთილი არიყო , რადგან მას შეემლო რეალიზაციისათვის დამახასითებელი მთელი რიგი პროცედურებისა და დამატებითი ხარჯების გვერდის ავლიტ , უფრო მოკლე დროში დაეკმაყოფლებინა საკუთარი მოხოვა მესამე პირისგან ფულადი ვალდებულების შესრულებაზე შეთავაზების მიღებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე , საკასაციო სასამაღტლოს განმარტებით , მოცემულ საქმეზე დადგენილი კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა ლოგიკური და თანმიმდევრული ვარაუდის საფუძველს , რომ ბანკის მხრიდან უძრავი ნივთების იძულებიტ აუქციონზე რეალიზაციის , როგორც მოთხოვნის დაკმაყოფილების უკიდურესი ფორმის, გამოყენება შეფასდეს უფლების ბოროტად გამოყენებად, რაც წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი 115-ე მუხლოთან.

სსკ-ის 115-ე მუხლის მიხედვით , სამოქალაქო უფლებ უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ უფლების განხორციელებისას პირმა უნდა დაიცვას კეთილსინდისიერება და მართლზომიერება. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი კერძოდ სამართლებრივ ურთიერთობებში ავალდბეულებს მონაწილე მხარეებს , რომ უფლება ბოროტად არ გამოიყენონ

საკასაციო პალატას მიაცნია , რომ საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ პირველ რიგში , უნდა იმსჯელოს და შეამოწმოს ზიანის ანაზღაურების შესახებ წარდგენილი სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი კომპონენტების არსებობა და სსკ-ის 412-ე მუხლთან მიმათებაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამატლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით , სარჩელის აღძვრიდან დაწყებული. უნდა შეჯამდეს დაშემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის.¹²⁶

¹²⁶ იხ. სასამართლო გადაწყვეტილება : <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

დასკვნა

კეთილსინდისიერების პრინციპს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომელიც საუკუნეებს ითვლიდა და სხვადასხვა ეტაპებს გადიოდა, რომ ჩვენამდე მოედწია.

კეთილსინდისიერების პრინციპი არის ამომავალი ფუნდამენტური პრინციპი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

სახელშეკრულებო სამართალში კეთილსინდისიერების როლი მოიცავს მხარეთა ინტერესების დაცვას, რომელმა დიდი როლი უნდა შესრულოს სამართლის განვითარებაში.

ჩემს ნაშრომშიც აღნიშნულია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი დიდი როლს ასრულებს სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს, მისი გამოყენება ძირითადად ხდება, მაშინ როდესაც სამართლის ნორმა ბუნდოვანია, სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობისას ვალდებულების განმსაზღვრელი ნომრები ხარვეიანია, კორექტირება ესაჭიროებათ ან კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული მისი მომწესრიგებელი ნორმა. ამ დროს სასამართლოს ეძლევა იმის საშვალეობა რომ იმოქმედოს კეთილსინდისიერების პრინციპზე დაყრდნობით. მხარეების ინტერესები და შედეგები ისე გადაანაწილოს. რომ მაქსიმალურად დაიცვას ორივე მხარის ინტერესები და ნაკლები ზიანი მიადგეთ მათ.

საზღვარგარეთის ქვეყნებში, ყველას განსხვავებული მიდგომები აქვს კეთილსინდისიერების პრინციპთან დაკავშირებით. ამ პრინციპზე დაყრდნობით იგება უამრავი ნორმა რომლის გამოყენებაც ხდება სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში.

როგორც უკვე აღვნიშნე ჩემს ნაშრომში, კეთილსინდისიერების პრინციპი რომის სამართლიდან იღებს სათავეს, მისი გამოყენება პირველად მე-19

საუკუნეში საფრანგეთში მოხდა და მას შემდეგ დიდი პოპულარიზაციით სარგებლობდა სხვადასხვა ქვეყნებში.

საქართველოში ჯერ კიდევ, საბჭოთა ეპოქაში მართალია მეტ-ნაკლებდ მაგრამ კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენება მაინც ხდებოდა, რომელიც შემდეგ უფრო ვითარდებოდა და მისი როლი იზრდებოდა სამოქალაქო სამართალში. რაც შეეხება, დღეს მოქმედ ნორმებს სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლის მესამე ნაწილით, მხარეების სახელშეკრულები ურთიერთობის დროს მოქმედებენ კეთილსინდისიერად, ერთმანეთის ინტერესებს დაცვით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ყველამ უნდა ვიმოქმედოთ კეთილსინდისიერად, სამართლიანად, არ შევლაოთ ერთმანეთს ღირსება და პატივი ვცეთ მეორე მხარის ინტერესებს.

რაც შეეხება კეთილსინდისიერების დადებით და უარყოფით მხარეებს ჩემს ნაშრომში განხილულია კეთილსინდისიერების უმთავრესი ფუნქციები და კერძო ავტონომიის როლის მნიშვნელობა კეთილსინდისიერების პრინციპთან მიმართებაში. რაც შეეხება ხარვეზის შევსების ფუნქციას. რომელის გამოიყენებაც განსაკუთრებით მაშინაა აუცილებელი როდესაც კანონმდებელს არ შეუძლია მოაწერიგოს მხარეთა ქცევები. ამ დროს სასამართლომ დავის შემთხვევაში უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერების პრინციპით. ასევე მხარეთავის დამატებითი ვალდებულებების დაკისრების ფუნქცია, რომლებიცაა ინფორმირების, საიდუმლო შენახვის, უსაფრთხოების დაცვის და ა.შ. მისი გამოყენება მაშინაა სავალდებულო, როდესაც მხარე არღვევს იმ მთავარ ვალდებულებას, რომლეზეც აგებულია მთავარი ხელშეკრულება. რაც შეეხება კორექტირების ფუნქციას ის გამოიყენება, როდესაც განსაზღვრული არააქვთ კონკრეტული ვადა.

ჩემს ნაშრომში, ასევე განხილულია კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი რომელსაც ზრუდავს კეთილსინდისიერების პრინციპი. კეთილსინდისიერების და ხელშეკრულების თავისუფლები პრინციპი ერთმანეთს უპირისპირდება მაშინ როდესაც, ხდება სუსტი მხარის დაჩაგვრა ეკონომიკურად ძლიერი მხარის მიერ. ამ დროს უპირატესობა

კეთილსინდისიერების პრინციპს ენიჭება. რადგან ამ პრინციპს შეუძლია სამართლიანად აღადგინოს ბალანსი.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი რითაც უნდა იხელმძღვანელოს თითოეულ ჩვენთაგანმა სახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობის დროს. ამ პრინციპზე ეყრდნობა მთელი სამართალმცოდნეობის ურთიერთობა. კეთილსინდისიერების პრინციპი არის ისეთი პრინციპი რომლითაც მხარეებმა უნდა იხელმძღვანელოს ხელშეკრულების შინაარსის შედგენისას. კეთილსინდისიერება ეს არის ამოსავალი წერტილი კერძო სამართლის დარგში.

გამოყენებული ლიტერატურა

- 1) ლ. ჭანტურია , შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, 1997 თბ
- 2) ჯორბენაძე ს, ,, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში“ თბილისი 2017
- 3) ნადარეიშვილი გ. , რომის სამოქალაქო სამართალი , გამომცემლობა „ ბონა კაუზა“ , თბილისი 2009
- 4) გარიშვილი მ. ხოფერია მ. , რომის სამართალი , გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2013
- 5) როგავა , რ 2016 კეთილსინდისიერების პრინციპია გავლენა მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის პუბლიკაციები, 2016
- 6) ვაშაკიძე გ . კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 10/2007-1
- 7) ხუნაშვილი ნ, კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი 2016
- 8) კერესელიძე დ. სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009 წელი,
- 9) ჯუღელი გ. (რედაქტორი), ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., „სახელშეკრულებო სამართალი“ , თბილისი, 2014
- 10) იოსელიანი ა. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი კვლევა) , ,, ქართული სამართლის მიმოხილვა“ , სპეციალური გამოცემა , თბილისი, 2007 წ
- 11) ჭეჭელაშვილი ზ, სახელშეკრულებო სამართალი , თბილისი , 2008
- 12) საქართველოს უზენაესი სასამართლო 2011 წლის 23 ივნისი გადაწყვეტილება საქმეზე N ას - 1388-1224-10
- 13) ხუნაშვილი ნ. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ ცხოვრება და კანონი“ თბილისი . N3 (27) .2014

- 14) Simm, Good Faith in CISG, Pace Law School Data Base to CISG, Good, The Concept of “Good Faith” in English Law, Rome: Centro di Studi e Ricerche di Diritto Comparato e Straniero, 1993, <http://www.cnr.it/CRDCS/nicholas.htm>
- 15) Steyn J., The Role of Good Faith and Fair Dealing in Contract Law: A Hair-Shirt Philosophy? Denning. Law Journal. Vol. 6., 1991
- 16) Steyn J., Contract Law: Fulfilling the Reasonable Expectations of Honest Men. Law Quarterly Review. Vol. 113., 1997
- 17) <http://www.cisg.law.pace.edu/cisg/text/treaty.html>
- 18) <http://www.casefilemethod.com/Statutes/Short%20UCC.pdf>
- 19) http://vneshmarket.ru/content/document_r_E3922952-5DDF-4D19-8211-7BAFF3106A71.html
- 20) <https://wipolex.wipo.int/en/text/270609>
- 21) <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>
- 22) <http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/ზოგადი-ნაწილი/კარი-პირველი/თავი-პირველი/მუხლი-319/>